GRUNI

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

American and British Studies Institute

Since 2018

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენციის მასალები

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ამერიკისა და ბრიტანეთის შესწავლის ინსტიტუტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენციის მასალები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

რედაქტორი:
გულიკო გალდავა

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:
მერი ლომია
დიანა ტყემბუჩავა
მაია ნადარეიშვილი
ლიზი ჩიმჩიური (სტუდენტი)
თორნიკე მერებაშვილი (სტუდენტი)
მარიამ კალატოზიშვილი (სტუდენტი)

ტექნიკური რედაქტორი და დიზაინერი: მაია ნადარეიშვილი

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021
© გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ამერიკისა და ბრიტანეთის შესწავლის ინსტიტუტი, 2021
© მოხსენებათა ავტორები, 2021

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-095-7

ს ა რ ჩ ე ვ ი

29 მაისი, 2021

თინათინ ლობჯანიძე
ქართველი ჟანა დ'არკი 7

თორნიკე მერებაშვილი
სახელმწიფო და მართლმადიდებელი ეკლესია
თავისუფლებისათვის ბრძოლაში 15

ლექსო კულუა
2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტიები
აშშ-ში 22

მარიამ ნაზარაშვილი
დმანისის კონფლიქტი ეთნიკური ქვეტექსტით 31

დეა დვალი
მე – თავისუფლება: ოცი წლის შემდეგ 37

ეკატერინე აბაშიძე
ბილინგვიზმი საბჭოთა საქართველოში 39

თამარ აქუბარდია
საოკუპაციო ხაზისპირა სოფლების გაუმჭვირვალე
პრობლემები 46

მარიამ კალატოზიშვილი
„რკინის ლედის" ოქროს სახელი 56

ნუცა ნუცუბიძე

გენერალ გიორგი კვინიტაძის „დაბრუნება“ 71

ლიზი ჩიმჩიური

ენობრივი თამაშები „ვეფხისტყაოსანში“..... 79

მარიამ ბენდიანიშვილი

„კოლის გოგონობიდან“ „ერის დედის“ იმიჯამდე“..... 94

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები

29 მაისი, 2021

კონფერენციის ორგანიზატორი პროფესორები:

მერი ლომია,

დიანა ტუებუჩავა,

მაია ნადარეიშვილი

კონფერენციის ორგანიზატორი სტუდენტები:

ლიზი ჩიმჩიური,

თორნიკე მერებაშვილი,

მარიამ კალატოზიშვილი

მომხსენებლები:

თინათინ ლობჟანიძე
თორნიკე მერებაშვილი
ლექსო კულუა
მარიამ ნაზარაშვილი
დეა დვალი
ეკატერინე აბაშიძე
თამარ აქუბარდია
მარიამ კალატოზიშვილი
ნუცა ნუცუბიძე
ლიზი ჩიმჩიური
მარიამ ბენდიანიშვილი

თინათინ ლობჯანიძე
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **დიანა ტყეებუჩავა**

ქართველი ჟანა დ'არკი

„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა...“ ამის ნათელი მაგალითია მარო მაყაშვილი. გოგონა, რომელიც დარჩა არაერთი თაობის ქართველის გულსა და გონებაში და მუდამ იარსებებს იმის ნიმუშად, თუ როგორი შეიძლება იყოს მამულიშვილი. უფაქიზესი სულის ადამიანი, მეოცნებე, ქვეყნის ხვედრზე მოფიქრალი, მის სასიკეთოდ სწავლასა და შრომას რომ გეგმავს და, როცა ჟამი დარეკავს, უყოყმანოდ, თავდაუზოგავად ეწირება სამშობლოს თავისუფლებას. ბუნებრივია, რომ თანამედროვეებმა მას „ქართველი ჟანა დ'არკი“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ზაქარია ფალიაშვილმა თავისი ოპერის „დაისის“ (1923) მთავარ პერსონაჟს გმირულად დაღუპული გოგონას სახელი — მარო დაარქვა.

წითელი არმიის შემოჭრის დღეებში, 19 წლის სტუდენტი მარო მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 17 თებერვალს იგი წითელ ჯვარში ჩაეწერა მოწყალების დად და კოჯრისაკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს შეუერთდა. 1921 წლის 19 თებერვალს ყუმბარის ნამსხვრევი კეფაში მოხვდა და სასიკვდილოდ დაიჭრა. მის გარდაცვალებას იქვე მყოფი იუნკერი, მიხეილ დადიანი შეესწრო და მოგვიანებით ასე აღწერა მომხდარი: „სწორედ ამ დღეს ამოვიდა ტაბახმელაზე მოწყალების და, მარო მაყაშვილი, რომელიც იქვე, შტაბის აივანზე იდგა და

სრულიად დამშვიდებული უსმენდა არტილერიის ყუმბარების აფეთქებას, რომლებიც სულ ახლოს ეცემოდნენ შტაბთან. სჩანდა, რომ მათ სწორედ ის დუქანი ჰქონდათ მიზანში ამოღებული, სადაც გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბი იყო. პოლკოვნიკი ჩხეიძე გამოვიდა შტაბიდან და დაინახა მარო, რომელსაც მე ველაპარაკებოდი; უთხრა მას ახლავე დაბრუნებულიყო თბილისში. მარო ჩაჯდა სასანიტარო ორთვალაში და თბილისისაკენ დაეშვა, სულ ნახევარი კილომეტრი არ ჰქონდა გავლილი, რომ მტრის ყუმბარა ორთვალას მოხვდა და მარო იმსხვერპლა“.

1921 წლის აპრილში, მაროს გარდაცვალებიდან ორ თვეში გაჩნდა მისი და. მასაც მარიამი დაარქვეს, მაგრამ ნუგეშას ეძახდნენ. იგი 2013 წელს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. სწორედ ნუგეშა ინახავდა მაროს შესახებ შემორჩენილ ყველა მასალას, მისი პირადი ნივთების ჩათვლით. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მაროს მთელი არქივი უმცროსმა დამ ლიტერატურის მუზეუმსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა. ლიტერატურის მუზეუმში ინახება მაროს ორი დღიურიდან ერთ-ერთი, რომელიც მისმა მეგობარმა, ანა ღვინიაშვილმა შემოინახა, ხოლო ანას შთამომავლებმა მუზეუმს გადასცეს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში არსებულ მარო მაყაშვილის სახელობის კაბინეტში დღემდე ინახება გმირი ქალიშვილის კუთვნილი მაკრატელი და ჩოგბურთის ჩოგანი. აქვეა მაროსავე მოქსოვილი მაქმანის ჩარჩოში ჩასმული მაროს ფოტო, რომელსაც ჯერ დედა, თამარ გაბაშვილი სათუთად ინახავდა ზარდახშაში, შემდეგ კი ნუგეშას ჰქონდა მთელი ცხოვრება.

ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ცნობილმა

ქართველმა ჟურნალისტმა, ნანა ღვინეფაძემ შეიტყო, რომ არსებობდა მარო მაყაშვილის დღიურები. მან შეძლო ყველა ბარიერის გადალახვა, დაძლია ობიექტური თუ სუბიექტური წინააღმდეგობები და მრავალწლიანი შრომისა და რუდუნების შედეგად პირველმა გამოამზეურა სტუდენტი გოგონას ცხოვრებისა და თავგანწირვის მანამდე უცნობი დეტალები წიგნში „შარავანდედი“.

თურმე, მაროს მშობლები ფრონტზე არ უშვებნენ. საომრად წამსვლელთა სიაში მაროს მეგობარი, ქეთო ჯაფარიძე ჩაწერილა. მეტს სიაში არავის წერდნენ, ამიტომ მარომ ქეთოს სთხოვა, ადგილი დაეთმო და დაითანხმა. ქეთო ჯაფარიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „მაროს მამამისი, ბატონი კოტე მოჰყვა. შემოღამებას ელოდნენ, ძალიან ციოდა. დედამ რომ გაიგო მაროს გადაწყვეტილება, ახლად-ახალი, თავისი მოქსოვილი მაღალყელიანი შალის წინდები გამოუტანა, შვილივით უყვარდა მარო — იქ უფრო ეცივება, აქედანვე ჩაიცვიო. ბატონი კოტე დაღონებული იყო“.

აი, რას წერს კოტე მაყაშვილი საკუთარ ქალიშვილზე: „1921 წლის თებერვალში თბილისის გარშემო ახმაურდნენ ზარბაზნები. ვერავითარმა მუდარამ, რჩევამ ვერ გაჭრა მაროზე. მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. 17 თებერვალს იგი ჩაეწერა წითელ ჯვარში მოწყალების დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრისკენ. 19 თებერვალს საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობელთათვის“.

ელიზბარ ერისთავი იხსენებს, რომ მაროს მამას, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ თავმჯდომარეს, პოეტ კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილს მაროს სიკვდილის ამბის

გაგების შემდეგ, ერთ ღამეში გასთეთრებია თმა. ოჯახს ბედმა ეს ტკივილი არ აკმარა. 1921 წლის მკაცრი ზამთრის სიცივეში 14 წლის ეკატერინე (კატუნა) გაცივდა და ნუგეშას დაბადებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. ორი ქალიშვილის დაღუპვა მძიმედ განიცადა კოტე მაყაშვილმა. იგი ჭლექით დაავადდა და 1927 წლის აგვისტოში, საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა.

1921 წლის თებერვლის ამბების შემდეგ მაროს ოჯახის წევრები არაერთხელ დაიბარეს დაკითხვაზე. 1937 წელს ელიზბარ და თამარ ერისთავების მამა გადაასახლეს და დახვრიტეს. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი თაობა მაროზე საუბარს ერიდებოდა, პარალელურად, მათ ჭერქვეშ ახლობლების, მეგობრებისა და ზოგიერთი ნათესავის სტუმრობამაც იკლო.

მარო პირველი ქალია, ვისაც საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. მისი სახელი ყველა ქართველისთვის უძვირფასესია დღემდე. მარო მაყაშვილი სიმბოლოა თავისუფლებისა, სიმბოლოა პატრიოტიზმისა. ამიტომ, ვფიქრობ, იგი მუდამ იარსებებს, როგორც ქართველი გმირი ქალის ეტალონი.

ცხადია, საამაყოა ასეთი გმირის ყოლა. კიდევ უფრო დიდი ბედნიერება კი ისაა, რომ მისი დღიურების წაკითხვის შესაძლებლობა გქონდეს. რამდენჯერაც გადავშლი მის დღიურს, იმდენჯერ გაცოცხლდება მარო ჩემთვის. მეც მალე 19 წელი შემისრულდება, მეც მასავით სტუდენტი ვარ...

მისმა სიტყვებმა ყველაფერზე დამაფიქრა ერთბაშად და საკუთარ თავთან უამრავი კითხვა გამიჩინა. „ღმერთო, რად დამბადე ქალათ. ქალი უძლური რაღაცა საგანია, კაცების აზრით, მაგრამ ეგ ტყუილია. მაგრამ მაინც მინდოდა,

ვყოფილიყავი მძლავრ და ჭკვიან კაცად. კაცს უფრო ეხერხება ყველაფერი, ვიდრე ქალს. ქალს ჰპატრონობს კაცი, კაცს ღმერთი. კაცი მაღალი სულით სულ სხვა არის ამგვარ ქალზედ. მაგრამ უმეტეს ნაწილში ქალი უფრო მაღლა სდგას კაცზედ, მაგრამ ეს არა სჩანს — ის მდგომარეობის მონაა“, ვკითხულობთ მაროს დღიურებში. მისმა მსჯელობამ დამაფიქრა და ერთიანად გამანადგურა. რეალობა დამანახა მარომ, ის რეალობა, ჩემთვის ჯერაც ამოუცნობი რომ იყო. ასეა, მარო, ჩემო სულიერო მეგობარო, ჩვენ, ქალები ხშირ შემთხვევაში „მდგომარეობის მონები ვართ“.

მინდა, ყველა ჩვენგანი მაროსავით საღი აზრით ვფიქრობდეთ და ისევე ვმსჯელობდეთ, როგორც ქვეყნის თავისუფლებას შეწირული ჩვენი თანატოლი, რომელსაც უყვარდა სამშობლო, უყვარდა მეგობრები, უყვარდა სიყვარული — უცნობი ბიჭი, რომლის დანახვაზეც, რაღაც ისეთი ემართებოდა, თავადვე რომ ვერ გაერკვია... მარო ფიქრობდა, რომ როცა დაქორწინდებოდა, უმალ სამსახურს დაიწყებდა და ქმრის ხარჯზე არ იქნებოდა. სწავლობდა ორ უცხო ენას — ფრანგულსა და ინგლისურს, რათა ორიგინალიდან ეთარგმნა მსოფლიო შედევრები. უცხოეთში სასწავლებლად წასვლასაც გეგმავდა, რომ მერე დაბრუნებულიყო და საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩაბმულიყო. აი, ამაში კი ვგავარ მაროს, თანაც, ორივეს ერთი სურვილი გვაქვს: მეც მასავით მინდა წავიდე და ისევე ჩემს სამშობლოს დავუბრუნდე, სხვებს ვასწავლო და შევძინო ის ცოდნა, რომელსაც მივიღებ. „უსათუოდ საფრანგეთში უნდა წავიდე და იქ შევისწავლო სამეურნეო საქმე. ჩემი ფიქრი აი, ეგ არის. მე თვითონ მინდა ვიმუშაო ჩემ მიწა-წყალზედ... ძალიან და ძალიან პარიზში მინდა და იტალიაში. ნუთუ რამე შემიშლის ხელს?“ — ასე წერდა მარო, ასე

ოცნებობდა. ნატრობდა საკუთარ მიწის ნაკვეთს, რომელსაც წალკოტად აქცევდა. ვფიქრობ, მარო ამ ყველაფერს აუცილებლად განახორციელებდა, რომ დასცლოდა.

მას რომ დიდხანს ეცოცხლა, დიდხანს ყოფილიყო, უთუოდ საკუთარ წიგნსაც დაგვიწერდა და გამოსცემდა — ისე ლამაზად აქვს გადმოცემული თავისი ისტორიები დღიურში, ისე ფაქიზად; ისეთი უშუალოა და გულწრფელი... ხან თავის სიყვარულზე წერდა, ხანაც საქართველოს ნამდვილ რეალობას აღწერდა.

ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა.

თავის დღიურში გერმანელთა ჯარის შემოსვლასა და აღლუმს აღწერს შეშფოთებული გოგონა. პატრიოტული გრძნობებით განმჭვალული 17 წლის მარო წუხს, რომ საქართველო ბოლომდე არ იყო განთავისუფლებული. მიაჩნდა, რომ „ერთი ბატონის“ თავიდან მოშორების შემდეგ „ახალი უღელი“ დაიდგა ქვეყანამ. იხსენებს იმ დღეს, როცა გერმანული ჯარი შემოვიდა საქართველოში, ქართველი ხალხი კი სიმღერით დაუხვდა. მაროს ტირილი უნდოდა ისე, როგორც არასდროს...

დიდი ტკივილითა და გულისწყრომით იხსენებს თავის დღიურში რუსი ჯარისკაცის ირონიულ ნათქვამს, ქართული სიმღერის გაგონებაზე: „იმღერეთ, იმღერეთ და საკუთარი საფლავი გაითხარეთ“, ბოროტად რომ ჩაიქილიკა ჩრდილოელმა ოკუპანტმა. გაბრაზდა გოგონა. უსაზღვრო იყო მისი სევდა იმის გამო, რომ საქართველომ ვერ გაშალა ფრთები და თავისუფლების გემო ვერ შეიგრძნო.

სევდიანობს და ამ განწყობით აღწერს ყველაფერს, მაგრამ მაროს მომავლისაც სჯერა ისევე, როგორც მე და ყველა ჩემს თანატოლს, ყველა დროის ყველა ახალგაზრდას. ხომ არ

ესიამოვნა თავიდან გერმანელების ზედმეტად თამამი, ბატონკაცური ნავარდი მისი ქალაქის ქუჩებში, მაგრამ, რომ დაუკვირდა, ოპტიმიზმმა სძლია შიშს და მიუკერძოებლად აღწერა, თუ როგორ ექცევიან გერმანელები ქართველებს. მისი ფიქრით, გერმანელებს არ ჰქონდათ ბოროტი განზრახვა და ამაში სიხარულის საბაბს პოულობდა: „რა ვიცი, თითქო, ჯერ კარგად ეპყრობიან გერმანელები ქართველებს. გუშინ ლაპარაკობდნენ, ვითომ სომხები რაღაცას სთხოვდნენ გერმანელის უფროსს, მაგრამ მან მიაძახა: ჯერ ქართველები და მერე იქნებით თქვენცაო“. ვითომ ხომ უბრალო სიტყვები გაიგონა მარომ, მაგრამ მაინც იგრძნო რაღაც პოზიტიური — ის, რომ გერმანელები ქართველებს უპირატესობას ანიჭებდნენ. დაინახა და ესიამოვნა ეს ყოველივე. მაროს მოსწონდა გერმანელები. ვარაუდობდა, რომ, შესაძლოა, გერმანულმა ბუნებამ ქართველები კარგ გზაზე დააყენოს, დისციპლინას მიაჩვიოსო. ჩვენს ერს კი ნამდვილად სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება დისციპლინა.

მაროს დღიურებიდან კარგად ჩანს, რომ ის უარყოფდა სოციალიზმს. მისი აზრით, სოციალიზმის გავრცელება საქართველოში შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ „შეეპარა ყველა სოციალისტის საუბარში ნაციონალურ-პატრიოტული ელემენტები“, თვლიდა ახალბედა პოლიტიკოსი. მარო შენატროდა იმ დროს, ახლაც რომ ყველა შევნატრით — თამარისა და დავითის ხანას. ფიქრობდა, ნეტა, ისინი თუ წარმოიდგენდნენ ამ ყველაფერს, რომ საქართველო ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა?! მიუხედავად თავისი გრძნობებისა, სევდისა თუ სენტიმენტებისა, მაროს მაინც ჰქონდა იმედი, რომ „ბედშავი“ ერი მოიპოვებდა ნანატრ თავისუფლებას. მზეც სხვანაირად გამოანათებდა მაშინ მაროს აზრით და ჩიტებიც

სხვაგვარად აჭიკჭიკდებოდნენ.

26 მაისს აუცილებლად უნდა გაგვეხსენებინა მარო მაყაშვილი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანისთვის — თავისუფლებისთვის იბძოდა. დღეს მე და ჩემი თანატოლები რომ თავისუფლები ვართ, მაროს და მისი მსგავსი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებების დამსახურებაა.

მაროს დღიურებში გადმოცემული აქვს თავისი სიყვარულის ისტორიაც. თუმცა, ისე ვუალიზებული და დაშიფრული ხერხებით, დღემდე ვერ შეძლეს დადგენა, ვის გულისხმობდა. დღიურები, ძირითადად, სავსეა ფიქრებით საქართველოზე, რომელიც არ ასვენებდა, ზრუნვით მეგობრებსა და იმ პრობლემებზე, რაც ადარდებდა. ასი წელი გავიდა ქართველი ჟანა დ'არკის გარდაცვალებიდან. ისევ ის საზრუნავი გვაქვს და იგივე საფიქრალი თანამედროვე ქართველებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქანთარია ქეთევან (2020), მარო მაყაშვილი, ქართველი ქალები, ჟურნ. „ჩემი სამყარო“, N30, გვ. 16-27.
2. „არავინ იცოდა, რას მალავდა ზარდახშაში მარო მაყაშვილის დედა“ (28 თებერვალი, 2015), რეპორტიორი [reportiori.ge].
3. ღვინეფაძე ნანა (24 თებერვალი, 2009), დაჭრილი შევარდენი: მარო მაყაშვილი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N34.
4. ზანდუკელი მიხეილ (1972), თხზულებანი, ტომი I, თბილისი.
5. ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ. (1994), მამულიშვილთა სავანე, თბილისი, გვ. 252.
6. ერისთავი თამარ (სექტემბერი, 2008), „ყველაფერი, რისთვისაც ვცოცხლობ“ (მარო მაყაშვილი), გაზ. „ლიტერატურული პალიტრა“, N9 (48).
7. ერაძე ეთერ (21-27 იანვარი, 2008), თამარ ერისთვი: „ჩვენ ხომ ღმერთმა ისეთი ქვეყანა გვარგუნა, რომელიც ყოველთვის გადასარჩენი იყო“, გაზ. „კვირის პალიტრა“.

თორნიკე მერებაშვილი
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
სამართლის მიმართულების
მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **მერი ლომია**

სახელმწიფო და მართლმადიდებელი ეკლესია თავისუფლებისათვის ბრძოლაში

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქართველი ხალხის მუდმივი ბრძოლაა მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სამშობლოსა და რწმენის დასაცავად, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის. ოდითგანვე ეკლესია-მონასტრების დარბევითა და სამღვდელოების განადგურებით იწყებოდა ქართული სახელმწიფოს დასუსტება, რადგან ქართველისათვის სამშობლოს დაცვა და გაძლიერება ყოველთვის გაიგივებული იყო ეკლესიის დაცვასა და გაძლიერებასთან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაც სახელმწიფოებრიობის აღდგენას უკავშირდებოდა და ერთნაირად მნიშვნელოვანი და საერთო-სახალხო საკითხი იყო თითოეული ქართველისათვის. თავისუფლებისა და ერთობის შესახებ საუბრისას, მართლმადიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ამ ურთიერთგანპირობებულობის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს განვიხილავ.

IV საუკუნის დასაწყისში ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. როდესაც ორი ძლიერი სახელმწიფო — რომი და სპარსეთი ერთმანეთს მსოფლიო ბატონობას ეცილებოდა, ქართველმა ხელისუფალმა

ქრისტიანული რწმენა აირჩია, რითიც საბედისწეროდ განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი ბედი და მყარად დააკავშირა ქართველი ხალხი და ქართული კულტურა დასავლურ ცივილიზაციას.

ამ ურთიერთობამ განაპირობა სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირიც. ქრისტიანული სარწმუნოების აღიარების შემდეგ, საერო და სასულიერო ხელისუფლება მოწოდებული იყო ურთიერთხელშეწყობისა და ურთიერთგაძლიერებისათვის. ამას დიდი სიკეთე მოჰქონდა ქვეყნისათვის, რადგან ერთობა განამტკიცებდა სახელმწიფოს სიძლიერეს. აღნიშნული თვალსაზრისით გამორჩეულია მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის სულიერი ცხოვრების აღორძინებას, საეპისკოპოსოების დაარსებას, პირველიერარქის მმართველობის განმტკიცებასა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ასეთივე სულისკვეთების იყო წმ. მეფე დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობა, რისი შესანიშნავი დასტურია საეკლესიო მმართველობის მოსაწესრიგებლად ხელმწიფის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. წინაპრების პოზიცია შენარჩუნდა და გაგრძელდა წმ. მეფე თამარის ეპოქის მმართველობის დროსაც.

ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, სახელმწიფო ყოველთვის მაშინ იყო ძლიერი, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობა სუფევდა. გაჭირვების ჟამს, თუ სახელმწიფო სუსტდებოდა, ეკლესია ტვირთულობდა ქვეყნის ჭაპანს და, პირიქით, ეკლესიის დასუსტების პერიოდში, სახელმწიფო ეხმარებოდა მას გაძლიერებაში. ყოველ ნგრევას კვლავ შენება მოჰყვებოდა და ყოველი შენება ეკლესია-მონასტრების აღდგენით იწყებოდა.

ქართლის მეფეები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკლესიის ძლიერებასა და განვითარებაზე ზრუნავდნენ.

თავის მხრივ, განუზომლად დიდია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარებასა და განმტკიცებაში. ქრისტიანობას უკავშირდება პირველი საგანმანათლებლო კერები საქართველოში, ქართული ენის სამწერლობო ენად ქცევა, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, მთარგმნელობითი საქმიანობა და ა. შ.

ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობის ბედიც მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. 1801 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, 1811 წელს კი კანონიკური სამართლის უხეში დარღვევით — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1917 წლის 25 მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, ერთი წლის შემდეგ კი — საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

რატომ ეშინოდა რუსეთის იმპერიას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის?! რუსეთის წმიდა სინოდის სხდომაზე არაერთხელ ითქვა: „თუ ეკლესიას ავტოკეფალიას მივცემთ, ეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავსო!“

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი სიხარული გამოიწვია ქართველ სამღვდელოებაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ასე მიმართა ეროვნულ საბჭოს: „თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან. თქვენ უნდა... დაამყაროთ ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება...“ თუმცა, ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: კომუნისტურმა რეჟიმმა თავისი დაღი დაასვა ორივე ინსტიტუციას.

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებელმა, დემოკრატიულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა წითელი არმიის მიერ ქვეყნის ოკუპაციის შედეგად. იმავე წელს, საქართველოს რევკომის დეკრეტით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ გამოცხადდა. ამ ვითარებას შესანიშნავად აღწერს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი: „სიყვარული პირველად ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარეშესი და არა შინაურისა ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი და გადაბრუნებულის ტანისამოსით პამპულობას. ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამგვარის მანკიერ შვილთაგან“. ამის შემდეგ სახელმწიფომაც და ეკლესიამაც ტოტალიტარული რეჟიმის მძიმე წლები გაიარა 1990-1991 წლებამდე.

ქართველი ხალხის სწრაფვამ დამოუკიდებლობისაკენ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაუღალავმა შრომამ აღადგინა ისტორიული სამართლიანობა. 1990 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს აღდგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომლის მოპოვებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური მდგომარეობის მიუხედავად, ქართული სახელმწიფო ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობითა და განსხვავებული მრწამსის მქონეთათვის აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფით. ეს ოფიციალურადაც აისახა დამოუკიდებელი საქართველოს ახალ კონსტიტუციაში:

1. ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან;

2. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას;
3. სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.

დღეს საქართველოს სახელწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ხორციელდება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაფორმდა. ამით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიას აღიარებს ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიულად არსებული განსაკუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სუბიექტად, რაც სხვა რელიგიურ გაერთიანებებს არ აკნინებს, რადგან იურიდიულად, თითოეული მათგანი ერთნაირი კონსტიტუციური თავისუფლებითა და უფლებებით სარგებლობს: რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ იმავე სტატუსით, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გააჩნია — საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

ამას გარდა, რუსული ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, საქართველოს სახელმწიფომ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო საქართველოში არსებული ტრადიციული რელიგიების დაფინანსების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. ამ დემოკრატიული ქმედების დასტურია მონაცემები, რომლებსაც წარმოგიდგენთ.

დღეს საქართველოში ცხოვრობს:

- **3 097 573 მართლმადიდებელი ქრისტიანი**, ფუნქციონირებს 2 001 მოქმედი ეკლესია-მონასტერი (1 548 მორწმუნეზე ერთი საკულტო ნაგებობა);
- **398 677 მუსლიმანი**, ფუნქციონირებს 277 მოქმედი მეჩეთი (1 439 მორწმუნეზე ერთი საკულტო ნაგებობა);

- **109 041 სომხური სამოციქულო ეკლესიის** წევრი, ფუნქციონირებს 58 საკულტო ნაგებობა (1 880 მორწმუნეზე ერთი);
- **19 195 კათოლიკე**, ფუნქციონირებს 31 მოქმედი საკულტო ნაგებობა (619 მორწმუნეზე ერთი);
- **1 417 იუდეველი**, ფუნქციონირებს 19 მოქმედი სინაგოგა (74 მორწმუნეზე ერთი საკულტო ნაგებობა);
- **12 395 იეჰოვას მოწმე**, ფუნქციონირებს 89 საკულტო ნაგებობა (139 მორწმუნეზე ერთი);
- **3 949 სხვა რელიგიური უმცირესობების** წარმომადგენელი, რომელთათვის 42 სხვადასხვა კონფესიის მოქმედი საკულტო ნაგებობა ფუნქციონირებს.

ოთხი ტრადიციული რელიგიური ორგანიზაცია ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო დაფინანსებას :

№	რელიგიური ორგანიზაცია	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
1	მუსლიმანური თემი	1 100 000 ლარი	2 200 00 ლარი	2 750 000 ლარი	2 750 000 ლარი	2 750 000 ლარი	2 750 000 ლარი	2 750 000 ლარი
2	კათოლიკური თემი	200 00 ლარი	400 000 ლარი	550 000 ლარი	550 000 ლარი	550 000 ლარი	550 000 ლარი	550 000 ლარი
3	სომხური სამოციქულო	300 000 ლარი	600 000 ლარი	800 000 ლარი	800 000 ლარი	800 000 ლარი	800 000 ლარი	800 000 ლარი
4	იუდეური	150 000 ლარი	300 000 ლარი	400 000 ლარი	400 000 ლარი	400 000 ლარი	400 000 ლარი	400 000 ლარი
სულ		1 750 000	3 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000

ასეთი შემწყნარებლური გარემო, სადაც საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ მართლმადიდებ-ლები, კათოლიკები, იუდეველები, მუსლიმანები, სადაც ერთ მეჩეთში ლოცულობენ შიიტები და სუნიტები, როდესაც ძველ

თბილისში ერთი კილომეტრის რადიუსში ერთმანეთის მეზობლად ფუნქციონირებს მართლმადიდებლური ტაძარი, სინაგოგა თუ მეჩეთი, ნაკლებად მოიპოვება რომელიმე სხვა ქვეყანაში. ქართული ტოლერანტობა ყველა ეპოქაში აღაფრთოვანებდა უცხოელ მნახველს. ეს ჩვენი ისტორიაა, ჩვენი კულტურისა და ტრადიციის ნაწილი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ დასრულებულა როგორც ქართულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბება, ისე სხვა რელიგიებთან საქმიანობის მომწესრიგებელი აქტების შექმნის პროცესი (ვგულისხმობს კანონს რელიგიების შესახებ).

ლექსო კულუა
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის მასკომუნიკაციისა
და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების
მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. **მაია ნადარეიშვილი**

2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტიები აშშ-ში

2020 წლის მეორე ნახევარში მსოფლიოს ყურადღება ჩინეთის პროვინცია უხანიდან აშშ-ში გადაერთო, სადაც საარჩევნო მარათონი მიმდინარეობდა. 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთმანეთს მოქმედი პრეზიდენტი – დონალდ ტრამპი და დემოკრატების კანდიდატი — ჯო ბაიდენი დაუპირისპირდნენ. ამჯერად არჩევნებისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა, რაც იმ ლოკალურმა მოვლენებმა გამოიწვია, რომლებიც გლობალურ მოვლენებში გადაიზარდა. პირველი იყო კორონავირუსით გამოწვეული პანდემია, რომელიც ჩინეთში, ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანიდან გავრცელდა და მთელი მსოფლიო მოიცვა, მათ შორის, აშშ-ც; ხოლო მეორე – საზოგადოებრივი საპროტესტო მოძრაობა „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ (Black Lives Matter), რომელიც მინესოტას შტატის ქალაქ მინეაპოლისში დაიწყო და მალე სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მოქალაქე შეუერთდა.

2019 წლის 17 დეკემბერს პოლიტიკური კომიტეტი (PAC) „ლინკოლნის პროექტი“ (The Lincoln Project) [1] დაფუძნდა

„ტრამპიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნისთ. „ლინკოლნის პროექტის“ მონაწილეთა პათოსი ძალიან ჰგავდა 2019 წლის 6 სექტემბერს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურაზე ახლადწარდგენილი გიორგი გახარიას მიერ პარლამენტში წარმოთქმულ ფრაზას, რომლითაც „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართა: „მე თქვენ დაგასრულებთ“. [2] თუმცა, ორივე შემთხვევაში, მოცემული მომენტისთვის ბოლომდე დასრულებული არც ერთია და არც მეორე.

პრეზიდენტ ტრამპის დისკრედიტაციის მიზნით, ამ კომიტეტმა პოლიტიკური შინაარსის ვიდეორეკლამები გაავრცელა სოციალური ქსელების საშუალებით. [3] ზოგადად, მთელი საარჩევნო კამპანია დონალდ ტრამპის დისკრედიტაციაზე ააგეს დემოკრატებმა. მეტი სიცხადისთვის, ნიმუშს მოვიყვან. ერთ-ერთ ვიდეორგოლში დონალდ ტრამპი ვირუსის სახითაა წარმოდგენილი. [4] სცენარის მიხედვით, რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი ისეთივე ბოროტი და საშიშია, როგორც კორონავირუსი. ამ ვიდეორგოლის მთავარი მიზანია კორონავირუსთან დაკავშირებით მოსახლეობაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულების გაიგივება დონალდ ტრამპთან.

პანდემიის გარდა, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივმა საპროტესტო მოძრაობამ — „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ (Black Lives Matter). აშშ-ის ფერადკანიანი მოქალაქის, ჯორჯ ფლოიდის სიკვდილმა ქვეყანაში მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციები გამოიწვია. მათი ნაწილი ძალადობრივ ქმედებებში

გადაიზარდა, რაც დემონსტრანტების დესტრუქციულ ქცევაში გამოიხატებოდა. პროტესტის დროს, აფროამერიკელმა აქტივისტებმა გადაწვეს და გაქურდეს მაღაზიები. მათი საქციელის გამო, ბუნებრივია, მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა და შედეგად, რასიზმის თემა კვლავ აქტუალური გახდა.

პროტესტის ძალადობრივი ბუნების გამო, ამერიკის ზოგიერთ შტატს ეროვნული გვარდიის დახმარება დასჭირდა სიტუაციის გასამუხტად. რესპუბლიკელების მიმართ ლოიალურად განწყობილი ტელეკომპანია „ფოქს ნიუსი“ (Fox News) მიმდინარე საპროტესტო მოვლენების გაშუქებისას, ძირითადად, ისეთ კადრებს ტრანსლირებდა, სადაც საპროტესტო მოძრაობის მონაწილეთა მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები და მისგან დაზარალებული ბიზნესსექტორი დომინირებდა. [5] კოლეგებისგან განსხვავებით, სი-ენ-ენის (CNN) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ რეპორტაჟებში პროტესტის მონაწილეები კონსტრუქციულ და ჰუმანურ აქტივისტებად მოჩანდნენ. [6]

2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ნათლად გამოიკვეთა პოლარიზაციის ნიშნები, სადაც ორი დაპირისპირებული მხარე ყველა ღონეს ხმარობდა ერთმანეთის დისკრედიტაციისთვის. ამით ამერიკული წინასაარჩევნო სიტუაცია აშკარად წააგავდა 2019 წლის ივნისში თბილისში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც პოლარიზაციის მკვეთრი ზრდა შეინიშნებოდა საქართველოშიც. მთავრობა და მისი მხარდამჭერი

ტელევიზიები ცდილობდნენ აქციების დისკრედიტაციას და ისეთი კადრების გავრცელებას, სადაც ნათლად ჩანდა აქტივისტების მიერ სამართალდამცავების წინააღმდეგ რადიკალური ქმედებები და ძალადობის ნიშნები. ოპოზიციური არხები, პირიქით, ისეთ კადრებს ავრცელებდნენ, სადაც სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას ჰქონდა ადგილი.

ოპონენტების წინააღმდეგ კომპრომატების მოძიება და, შესაბამისად, მათ წინააღმდეგ „შავი“ კამპანიის აგორება არახალია, მით უმეტეს, როცა საქმე მსოფლიოს ზესახელმწიფოს პრეზიდენტობას ეხება. გამონაკლისი არც 2020 წლის არჩევნები იყო და, ცხადია, არც 45-ე პრეზიდენტი დარჩებოდა გულზეხელებდაკრეფილი.

ტრამპიზმის გასანადგურებლად შექმნილი „ლინკოლნის პროექტის“ დაარსებიდან ერთი თვის თავზე, თანამედროვე მსოფლიო ჟურნალისტიკის ერთ-ერთ წამყვან, ყოველკვირეულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა სტატია, [7] სადაც 21 ადამიანი „ლინკოლნის პროექტის“ თანადამფუძნებელს — ჯონ უივერს ონლაინ სექსუალურ შევიწროვებაში ადანაშაულებდა. აღნიშნულმა სტატიამ დიდი დარტყმა მიაყენა როგორც „ლინკოლნის პროექტს“, ასევე, ზოგადად, დემოკრატებს, რადგან მათი ოპონენტები ამ სკანდალზე დიდი ენთუზიაზმით აპელირებდნენ.

მომხდარიდან მალევე, უივერმა საჯარო განცხადება გააკეთა, [8] რომელშიც საკუთარი საქციელის გამო მოიბოდიშა და 61 წლის ასაკში აღიარა, რომ გეი იყო. ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ მას გულის შეტევა დაემართა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, კომიტეტის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და სულისჩამდგმელმა სამედიცინო ბიულეტენი გაახსნევინა, რომლის შემდეგ, სამსახურში აღარ დაბრუნებულა. ვფიქრობ, მის წინააღმდეგ აგორებული კამპანია იმდენად მძიმე დარტყმა აღმოჩნდა როგორც მისთვის, ისე, მთელი გუნდისთვის, რომ ბრალდების აღიარების შემდეგ თანამდებობიდან წასვლა ერთადერთი პრაგმატული გამოსავალი იყო. ცხადია, ნიჭიერმა პიარკონსულტანტმა სტრატეგიულად სწორი ნაბიჯი გადადგა, რათა დემოკრატების დიად მიზანს მის გამო ხელი არ შეშლოდა. ასეც მოხდა.

ჯონ უივერის წინააღმდეგ გამოყენებულმა მეთოდმა საკმაოდ გაამართლა და, ბუნებრივია, რესპუბლიკელებმა მსგავსი ხერხი ჯო ბაიდენთან საბრძოლველადაც სცადეს. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეოები, [9] სადაც დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატი მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისა და ბავშვების მიმართ საკმაოდ ფამილიარული ქცევით გამოირჩეოდა. ჯო ბაიდენი არ ერიდებოდა მათ შეხებასა და მოფერებას, მიუხედავად იმისა, სურდათ თუ არა ადამიანებს ეს.

2020 წლის აგვისტოში სოციალური მედიაპლატფორმით გავრცელდა ვიდეო, რომელშიც დემოკრატების პრეზიდენტობის კანდიდატს უმძიმეს ბრალდებას უყენებს სექსუალური ძალადობის საკითხებში ექსპერტი ენტონი ზენკუსი. ვიდეორგოლში ნათლად ჩანს, რომ ბავშვები და მანდილოსნები თავს უხერხულად გრძნობენ, როდესაც ჯო

ბაიდენი მათ ეხება. ექსპერტის სიტყვებს ფონად გასდევს შესაბამისი კადრები. ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ, ამერიკელ მშობლებს ნეგატიური დამოკიდებულება უნდა გასჩენოდათ პრეზიდენტობის ამ კანდიდატის მიმართ, რადგან ემოციურად საკმაოდ მძიმე მოსასმენი და სანახავია იმ კადრებისა და კომენტარის ერთობლიობა, როდესაც ბავშვები უშედეგოდ ცდილობენ თავი დააღწიონ ჯო ბაიდენის „ალერსს“.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში ჯო ბაიდენი არაერთხელ გაეხვა სკანდალში. განსაკუთრებული იყო შემთხვევა, როდესაც ამერიკის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში [10] თქვა: დონალდ ტრამპის მხარდამჭერი აფროამერიკელები ნამდვილი შავკანიანები არ არიანო. ამ შეურაცხმყოფელი განცხადების გამო, ბაიდენი საკუთარმა თანაპარტიელებმაც კი მწვავედ გააკრიტიკეს, ხოლო აფროამერიკელმა ამომრჩევლებმა რასიზმში ამხილეს. საბოლოოდ, დემოკრატთა კანდიდატმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

დონალდ ტრამპმა ხელიდან არ გაუშვა ასეთი საკბილო და ფეისბუქის საკუთარ გვერდზე თავისი პოლიტიკური ოპონენტის საწინააღმდეგო ვირუსული ვიდეო [11] ატვირთა, რომელმაც 9 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა და სუპერპოპულარული გახდა დროის მცირე მონაკვეთში. მსგავსი უპრეცედენტო ბრძოლის ხერხებით ტრამპმა ტრადიციული საპრეზიდენტო სტერეოტიპი დაამსხვრია.

ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მოსახლეობის, დაახლოებით, ორი მესამედი ქრისტიანია. შესაბამისად, ეს

ადამიანები არ უჭერენ მხარს ისეთ კანდიდატს, რომელსაც ღმერთი არ სწამს. საჯარო გამოსვლებისა თუ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების დაწყებამდე, ტრამპი რელიგიური შინაარსის ქცევით გამოირჩეოდა. მაგალითად, ხელში ბიბლია ეკავა. ცხადია, მოქმედი პრეზიდენტი ამგვარად ცდილობდა ქრისტიანობისადმი საკუთარი პატივისცემის ხაზგასმას, რადგან ცნობილია, რომ საკვირაო წირვებზე დასწრებით არასოდეს გამოირჩეოდა.

დონალდ ტრამპის ბიბლიით ხელში გამოჩენა რომ სტრატეგიული კომუნიკაციების მხრივ სწორი ნაბიჯი გახლდათ, მისი ოპონენტების შემდგომმა კომენტარებმა დაამტკიცა. მომხდარიდან მალევე ჯო ბაიდენმა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი ეკლესიასთან გამოჩენის გამო გაკიცხა. [12] ამას მოჰყვა სასულიერო პირების მიერ დონალდ ტრამპის მკაცრი კრიტიკა. ისინი ღიად დაუპირისპირდნენ მოქმედ პრეზიდენტს და რელიგიის თემით მანიპულირებაში დაადანაშაულეს. ყველაზე მწვავე განცხადება ეკუთვნოდა ვაშინგტონის ეპისკოპოსს, მერიენ ედგარ ბადის. როგორც ჩანს, დემოკრატებმა მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი აზრთა ლიდერების დახმარებით ყველა სფეროში დაიწყეს დონალდ ტრამპის დისკრედიტაცია.

რელიგიის თემაზე განცხადება აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმაც გააკეთა და პრეზიდენტი ტრამპი ქრისტიანობისა და ბიბლიის მიტაცების მცდელობაში დაადანაშაულა. [13]

ჰილარის ინტერვიუს პათოსი იუმორისტულად აღიქმება საზოგადოების ანალიტურად მოაზროვნე ნაწილის თვალში, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს და ამიტომაც, კლინტონის სიტყვებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ტრამპს. ვფიქრობ, დემოკრატებმა სწორად გათვალეს, თუ რა ემოციის აღძვრა შეეძლო მასსაზოგადოებაში მოქმედი პრეზიდენტის ბიბლიით ხელში გამოჩენის ფაქტის ინტერპრეტირებას ტრამპის მიერ რელიგიით მანიპულირებად.

2020 წლის არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ რესპუბლიკელთა კანდიდატმა და მისმა მომხრეებმა ვერ გადალახეს მათ წინაშე წამოჭრილი საარჩევნო პრობლემები. მათი თითოეული მცდარი ნაბიჯი დემოკრატებმა ეფექტურად გამოიყენეს ამერიკელი ამომრჩევლის გადასაბირებლად.

რესპუბლიკური პარტიის წინაშე 2020 წლის აშშ-ში არსებულ პოლიტიკურ რეალობას ზუსტად ერგება „ქართული ოცნებისთვის“ ოპოზიციის მიერ შერჩეული ეპითეტი — „უნიათოები“. ამერიკელი ამომრჩევლის გარკვეულმა ნაწილმა ჯო ბაიდენს ხმა მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ არ სურდა ტრამპის ადმინისტრაციისთვის დამატებით კიდევ ოთხი წელი მიეცა თეთრ სახლში. დემოკრატიული პარტიის აშკარად სუსტ კანდიდატს, უბრალოდ, არაჩვეულებრივად გაუმართლა და მხოლოდ ასე გახდა ჯო ბაიდენი ამერიკის შეერთებული შტატების 46-ე პრეზიდენტი. [14]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Lincoln Project [lincolnproject.us]
2. გიორგი გახარია: „მე თქვენ დაგასრულებთ“ (6 Sep 2019), Maestro Television [youtube.com/watch?v=RKG2jrYdVsI&t=2s]
3. The Lincoln Project videos [youtube.com/c/TheLincolnProject/videos]
4. Virus in the World (18 Mar 2020) [youtube.com/watch?v=tPl7HghDcXc]
5. Ingraham tours devastation in Minneapolis, talks to suffering business owner (11 Aug 2020), Fox News [youtube.com/watch?v=PwDcNWUvyjY]
6. Black Lives Matter demonstrator carries injured white protester to safety in powerful image (15 June 2020), CNN [youtube.com/watch?v=9oJ-Gk62W_8]
7. Astor, Maggie and Danny Hakim (31 Jan 2021), 21 Men Accuse Lincoln Project Co-Founder of Online Harassment [nytimes.com]
8. Markay, Lachlan (15 Jan 2021), John Weaver, Lincoln Project co-founder, acknowledges “inappropriate” messages [axios.com]
9. Is Joe Biden’s Touchiness Out of Touch? (26 Apr 2019), NBC News [youtube.com/watch?v=DAUOurZIVfI]
10. How Biden’s ‘you ain’t black’ comment unfolded (23 May 2020), The Washington Post [youtube.com/watch?v=jhcgmwj3Nac]
11. US President Trump uses viral ‘coronavirus funeral dance’ meme in Biden attack ad (28 May 2020), Alarabiya News [english.alarabiya.net/coronavirus/2020/05/28/US-President-Trump-uses-viral-coronavirus-funeral-dance-meme-in-Biden-attack-ad]
12. Joseph, Cameron (2 June 2020), Biden Slams Trump’s Bible-Wielding Photo Op: ‘I Just Wish He’d Open It Once in a While’, Vice magazine [vice.com]
13. Donald Trump ‘tried to hijack Christianity’ with Bible ‘photo opportunity’, Hilary Clinton says (18 June 2020) [news.sky.com]
14. 2020 United States presidential election [state.gov]

მარიამ ნაზარაშვილი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
საჯარო ადმინისტრირებისა და
სახელმწიფო მმართველობის მიმართულების
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **მერი ლომია**

დმანისის კონფლიქტი ეთნიკური ქვეტექსტით

საქართველოს მულტიკულტურული და მულტირელიგიური გარემო ქვეყნის განსაკუთრებული მახასიათებელია. რელიგიური მრავალფეროვნება, როგორც ჩვენი ქვეყნის ფასდაუდებელი სიმდიდრე, თავისთავად ქმნის ტოლერანტული თანაცხოვრების ისტორიულ გამოცდილებას. სწორედ ამ გამოცდილების თანამედროვე პრაქტიკად ქცევა წარმოადგენს სახელმწიფოს მნიშვნელოვან გამოწვევას, რათა მრავალფეროვნება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, მშვიდობიანი თანაცხოვრების წესად იქცეს.

სულ ახლახან დმანისში განვითარებულმა მოვლენებმა გადამაწყვეტინა მესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ვიცავთ მშვიდობიანი თანაცხოვრების ამ წესსა და მიღებულ ისტორიულ გამოცდილებას. ცნობილი ფაქტია, რომ გარეშე მტრებისაგან მიყენებული იარების მოშუშება ყოველთვის უფრო მარტივია, ვიდრე ქვეყნის შიგნით, მოძმეებს შორის უთანხმოებით მიყენებული ჭრილობების. სად შეიძლება

ვეძებოთ ამ დაპირისპირების მიზეზები და რა ფაქტორები განაპირობებს ამ ყოველივეს?!

უპირველეს ყოვლისა, ესაა მიგრაციული პროცესები — მეტად რთული და მრავალფუნქციური მოვლენა. შუა საუკუნეებში ძველი ეთნოსების გაქრობასა და ახლის წარმოქმნას, ძირითადად, მიგრაციები განაპირობებდა. საქართველოს ისტორიაც შიდა თუ გარე მიგრაციის არაერთ ფაქტს ინახავს.

მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

- სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;
- პოლიტიკური მოტივი;
- ეკოლოგიური კატასტროფები;
- ეთნიკური წმენდა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის უახლეს პერიოდში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განხორციელდა.

მკაცრი კლიმატური პირობების გამო, საქართველოს მთიანი რეგიონების მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის შიდა მიგრაციულ პროცესებში. მათი კომპაქტურად ჩასახლება ბარის რაიონებში 1987 წლიდან დაიწყო, რაც განაპირობა სვანეთში მოსულმა დიდთოვლობამ და თავსდამტყდარმა ზვავებმა. დაიღუპა 85 ადამიანი. სტიქიურმა უბედურებამ, ამავე დროს, დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. ათასობით ადამიანი

გადმოასახლეს მშობლიური კუთხიდან და ჩაასახლეს ბარში, მათ შორის, დმანისში. ამ გარემოში სვანების ადაპტაციის საკითხი არ ყოფილა მარტივი და არაერთ პრობლემას უკავშირდებოდა.

პირველ რიგში, ეს იყო მთაში მეტი სიმკვეთრით შემონახული ტრადიციები, ადათი, წესი, სამართალი, დღესასწაული, ღირებულება და ქცევის ნორმა.

ამას გარდა, ქვემო ქართლში ჩასახლებული მთიელები აღმოჩნდნენ უცხო კულტურულ-გეოგრაფიულ გარემოში. აქ მათ დახვდათ არამარტო განსხვავებული გეოგრაფიული და კლიმატური გარემო (უტყეობა, უწყლობა), არამედ კულტურულ-სამეურნეო ყოფის სხვა ტრადიციები.

თუ სვანეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ბარში გადმოსახლებულებს პოლიეთნიკური გარემო დახვდათ — აზერბაიჯანელებით, ბერძნებით, სომხებითა და დუხობორებით დასახლებული.

დმანისში ქართული საუბარი იშვიათად ისმოდა, არ იყო ქართული სკოლა, ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა სახელმწიფო საქმისწარმოება.

დმანისში, ძირითადად, სოფლების — ჭუბერისა და ეცერის მცხოვრებლები ჩაასახლეს. სვანები განსაკუთრებით გააოცა და დათრგუნა იმან, რომ ისედაც მცირერიცხოვანი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა აზერბაიჯანელებს არა სახელმწიფო ქართულ ენაზე ესაუბრებოდა, არამედ აზერბაიჯანულად. ამ საკითხმა ბოლოდროინდელ

დაპირისპირებაშიც იჩინა თავი, როდესაც ეკომიგრანტებმა ადგილობრივ მოსახლეობას ქართული ენის არცოდნა დაუწუნეს.

დმანისში სვანების ჩასახლებას, რასაკვირველია, სხვა დანიშნულებაც ჰქონდა: ამ ძირძველ ისტორიულ ქართულ ქალაქში ეთნიკური სურათი შეცვლილიყო. ეს საკითხი, მართლაც, დადებითად მოგვარდა: გაიხსნა ქართული სკოლა, ადგილობრივ სახელმწიფო სამსახურში მიიღეს ქართველებიც, შედეგად, ქართულ ენაზე დაიწყო ოფიციალური საქმისწარმოება.

პროგრესის მიუხედავად, არსებობდა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც შეაწუხა სვანები. ეს იყო რელიგიური საკითხი. მათი ყოველდღიურობა გაჯერებულია რელიგიური სულისკვეთებით. სვანეთის ყველა თემი ეკლესიათა სიმრავლით გამოირჩევა. რელიგიური დღესასწაულები და ამა თუ იმ წმინდანისადმი მიძღვნილი ხალხური დღეობები სვანების სულიერი და სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი, განუყოფელი ნაწილია. ქვემო ქართლში გადმოსახლებულები თავიანთ საეკლესიო ცენტრებს მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. მათი ჩასახლების ადგილას არ იყო არც ერთი მართლმადიდებლური ტაძარი. მხოლოდ მოგვიანებით, ქართველების უდიდესი მონდომების შედეგად აიგო წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია დმანისის ცენტრში.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლიურ კუთხეს დაშორებულები არიან, სვანეთიდან გადმოსახლებულმა ეკომიგრანტებმა შეძლეს უცხო, პოლიეთნიკურ გარემოში თავიანთი ტრადიციისა და სოციალური ქცევის შენარჩუნება, ეთნიკური იდენტობის წარმოჩენა და დადასტურება. სვანები ცდილობენ, აღადგინონ კავშირი წარსულთან, ტრადიციებთან და გაიადვილონ ახალ კულტურულ-გეოგრაფიულ არეალში ადაპტაციის პროცესი.

თუმცა, სულ ახლახან ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დმანისში მომხდარმა დაპირისპირებამ აჩვენა, რომ თავდაპირველი გაუცხოება კვლავ შენარჩუნებულია და, ვფიქრობ, იგი სცილდება ვიწრო ყოფით ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს. უახლესი დაპირისპირების მასშტაბმა სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს იმაზე, რომ საჭიროა ამ პროცესების ეთნოლოგიური და სოციოლოგიური კვლევა, რათა რეალურად შეფასდეს არსებული ვითარება და სახელმწიფომ, შესაბამისად, შეიმუშაოს მიგრაციასთან დაკავშირებული მწყობრი პოლიტიკა. ამ მიზნის მისაღწევად, ასევე, საჭიროდ მიმაჩნია ორივე მხარის ყოველდღიურობის, მათი რელიგიური საგანათლებლო სისტემის, ფუნქციონალური მექანიზმების, სხვა რელიგიურ თემებთან ურთიერთობის, კულტუროლოგიური და სამართლებრივი ასპექტების კვლევა, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვისაც.

განსაკუთრებით გამოვყოფდი განათლების საკითხს. ადგილობრივი არაქართველი მოსახლეობა, მაგალითად, საქართველოს ისტორიას თურქული ან აზერბაიჯანული ვერსიით სწავლობს და არა —ქართულით. სახელმწიფომ ამ მიმართულებითაც უნდა შეიმუშაოს შესაბამისი რეგულაცია, რომლის საშუალებითაც ამ მნიშვნელოვან და საგულისხმო საკითხს მოაწესრიგებს.

საქართველოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საზოგადოების ერთიანობა. ეთნიკური მრავალფეროვნება ქვეყნის სიმდიდრეა იმ შემთხვევაში, თუ შევინარჩუნებთ ჩვენს ისტორიულ გამოცდილებას და ტოლერანტულ ბუნებას, სახელმწიფოს კი ექნება რელიგიის თანმიმდევრული სახელმწიფოს პოლიტიკა.

დეა დვალი
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **დიანა ტყებუჩავა**

მე — თავისუფლება

(ფიქრები „ოცი წლის შემდეგ“ სავარაუდო განწყობაზე...)

იცოდით, რომ ადამიანში დადებითი ემოციების გამოწვევა უფრო რთულია ვიდრე უარყოფითის?

აი, თქვენ თვითონ დაუკვირდით. ბოლოს როდის იცინეთ გულიანად რაიმე ფილმზე, ან, თუნდაც, წიგნზე? გაუაზრებლად, გაღიმებული სახით რომ მისჩერებიხარ ინფორმაციის წყაროს და საზრდოს ითხოვ. ალბათ, ვერც გაიხსენებთ, მაგრამ აი, რომ გკითხოთ, ბოლოს როდის იტირეთ ფილმის გამო-თქო, ყველა შემთხვევას თვალისდაუხამხამებლად, ლამის, დაუფიქრებლად ჩამომითვლით.

ეს ლოგიკურია და ამაზე სულაც არ ვბრაზდები. ასეთია ადამიანის ფსიქოლოგია.

მასას რომ უარყოფითი გმირების განსახიერება ანდა მძაფრი ემოციების გადმოცემა უფრო რთული შესასრულებელი ჰგონია, არც ესაა მართებული. მთავარი პერსონაჟის სიკვდილის სცენას ფონად — ცოტათი სევდიანი მუსიკა და ცრემლიანი თვალები, უკვე იდეალურია. ყველაზე უნიჭო მსახიობიც კი შეძლებს თქვენს ატირებას.

მაგრამ, ღიმილი?! არა, ბატონებო, ეს მხოლოდ რჩეულებს თუ ხელეწიფებათ, რადგან ამ ცხოვრებაში უაზროდ ტირილი

ბევრად უფრო იოლია, ვიდრე გაღიმება და გზის გაგრძელება. ყველაზე სასაცილო კი ისაა, აუდიტორიას რომ ჰკითხოთ, ფილმის რომელმა ეპიზოდმა აატირა, უმრავლესობა მაგალითს საკუთარი ცხოვრებიდან მოგიყვანს.

და მაინც, ან რას მივტირით, ან რას ვუცინით საბოლოოდ ჩვენ, ადამიანები?

იმ პერიოდში, რაც ჟურნალისტის პროფესიის დაუფლება დავიწყე, საკმაოდ შევისწავლე ადამიანის ფსიქოლოგიაც. ადამიანი იმაზე მარტივი ამოსაცნობია, ვიდრე თავად ჰგონია. მედიააუდიტორიის მართვაც ზედმეტად იოლი გამოდგა ჩემთვის.

სტატიებს მთელი გულით ვწერ და, რაც მთვარია, ყოველთვის იმას აღვწერ, რასაც ვხედავ. ეს, უბრალოდ, ჩემი პრინციპია, პრინციპებს კი არ ვღალატობ. თავიდან ვფიქრობდი, რომ, ალბათ, არჩევს ხალხი რამდენი წრფელი გრძნობაა თითოეულ სიტყვაში და მაგიტომაც მომყვება ასე იოლად-მეთქი. შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, მივხვდი თუ რაოდენ პათეტიკური ვიყავი. რთულია გემოვნებიანი, განათლებული მკითხველის პოვნა, რომელიც ღირსეული კრიტიკით უფრო მეტ ძალას მოგცემს, რომ უკეთესი რამ შექმნა.

სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს პროფესია მოსაბეზრებელია. არამც და არამც. უბრალოდ, მკითხველია ერთფეროვანი. ჰოდა, მათი ძებნა დავიწყე, ვინც გამიგებდა. თანდათან ჩემი სტატიები აღარც ყველასთვის სასურველი აღმოჩნდა და აღარც ყველასათვის გასაგები. სამაგიეროდ, ახლა უხვად ვიღებ ჯანსაღ კრიტიკას და ვგრძნობ, რომ მკითხველი ზუსტად იგებს, რასაც ყოველ ტექსტში მთელი გულით ვაქსოვ.

ეკატერინე აბაშიძე
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის
მიმართულების მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **მერი ლომია**

ბილინგვიზმი საბჭოთა საქართველოში

ყოველი ერისათვის ენა მისი იდენტობის ნიშანი და სახელმწიფოებრიობის საფუძველია. უფლებააყრილი და ენაწართმეული ხალხი მხოლოდ მონობის იარლიყს თუ ატარებდა ყოველთვის. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ენა სამშობლოსა და რწმენასთან იყო გაიგივებული და მის დასაცავად მუდამ თავგამოდებით იბრძოდა ქართველი ერი.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი გაგება ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობის დროს დასტურდება, როცა ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“. გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში, ქართული ეკლესიის წიაღში, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“

რით არის ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული ტრადიციებითა და სამოქალაქო ერთობით. შესაბამისად, ენა არის ერის თავისუფლების გარანტი და ერთობის საფუძველი. სწორედ ამიტომ ავირჩიე საკვლევ თემად ქართული ენის სახელმწიფო პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე მძიმე, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში.

საბჭოთა კავშირში საერთო საკავშირო კონსტიტუცია სახელმწიფო ენის ცნებას იმთავითვე არ ცნობდა. რეალურად, რუსული ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამდენად, ამ ენისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭება აღარც იყო საჭირო. პირიქით, მაშინ აშკარად გამოჩნდებოდა ეროვნული ენების შეზღუდვა რუსულით. საბჭოთა საქართველოში ოფიციალურად არ იყო აკრძალული ქართული, მაგრამ სახელმწიფო ენის ფუნქციას რიგ შემთხვევებში სწორედ რუსული ასრულებდა. საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მიზანი იყო მოკავშირე რეაპუბლიკების რუსიფიკაცია და სრული ერთენოვნების დამკვიდრება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

მანამდე, მეფის რუსეთშიც რუსული ენა ასრულებდა ერთადერთი სახელმწიფო ენის ფუნქციას მთელ იმპერიაში და, მათ შორის, საქართველოს მიწაზე საიმპერატორო განკარგულებით შექმნილ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, იურიდიული სტატუსი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1918 წელს პირველივე კონსტიტუციით განისაზღვრა და აღიარებული იყო შემდგომ წლებშიც.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ სახელმწიფო ენის ცნება არ არსებობდა საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში. ერებისა და ენების შერწყმის თეორია, რომელიც საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკას წარმოადგენდა, თანდათან ზღუდავდა ეროვნული ენების უფლებებს. როგორი იყო ფაქტობრივი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ?!

საბჭოთა სივრცეში ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მახასიათებელი ჰქონდა:

1. საყოველთაო რუსიფიკაცია;
2. რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებში ეროვნული ენების განვითარება (რაც იმას გულისხმობდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ეძლეოდა გარკვეული ინიციატივის გამოჩენის უფლება და ამასთან მკაცრად კონტროლდებოდა ამ უფლებათა მასშტაბები).

საყოველთაო რუსიფიკაციის პროცესი მოიცავდა ენის ფუნქციონირების, თითქმის, ყველა სფეროს. რუსული სავადებულო ენა იყო ყველა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში. რუსულად იწერებოდა დისერტაციები. რუსული თარგმანით გადიოდა ფილმების უდიდესი ნაწილი კინოთეატრებსა და ტელევიზიაში. უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, ცენტრალური სამინისტროები და სამსახურები მოსკოვში იყო განთავსებული. მოსკოვი ამტკიცებდა ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს. სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულ ენაზე იქმნებოდა ყველა ოფიციალური დოკუმენტი. რუსულ ენაზე იმართებოდა დედაქალაქის ან რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული და ადმინისტრაციული სხდომები.

რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ენობრივი ცენზურა იყო, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ბეჭდვით სიტყვას, ოფიციალურსა და არაოფიციალურს, კერძოდ, ოფიციალური ბეჭდური პროდუქციისა და, მასთან ერთად, პიესებისა და სხვა სასცენო ნაწარმოებების, კინო-ფოტო და სახვითი ხელოვნების

ნაწარმოებების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების შინაარსს, რათა არ მომხდარიყო საბჭოთა ხელისუფლების აზრით მანკიერი, არასასურველი მოძღვრების, აზრებისა თუ ცნობების გავრცელება.

ცენზურა, უპირველესად, ტექსტთან ურთიერთობას გულისხმობდა და მის სხვადასხვა მხარეს: შინაარსს, საკვანძო სიტყვებს, სიმბოლოებს, ქვეტექსტებს, პარალინგვისტიკურ მხარეს, სტილსა და ორთოგრაფიას, კონკრეტული საკითხისადმი დამოკიდებულების გამოხატვას ეხეოდა. შესაბამისად, ცენზურის სამსახური ტექსტთან ერთად ისეთ არაეინობრივ მოვლენებზე, საზოგადოებრივი აზრის იმ მიმართულებებზეც იყო კონცენტრირებული, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს სიმტკიცის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. ამიტომაც, საბჭოთა ცენზურა თავის უპირველეს მიზნად ეროვნული დამოუკიდებლობის სურვილის გაღვივების უნარის მქონე ტექსტებს აღკვეთდა:

- იკრძალებოდა ეროვნულობაზე, სამშობლოზე, ქართველთა სრულფასოვნებაზე მიმთითებელი მასალები, ფრაზები, სიტყვები. მაგალითად, XIX საუკუნეში მეფის რუსეთის ცენზურა კრძალავდა სიტყვა „საქართველოს“ გამოყენებას და მის ნაცვლად „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების” მოხსენიებას მოითხოვდა;
- საგანგებოდ იქმნებოდა და ცენზურის ნებართვით იბეჭდებოდა ეროვნული ნიჰილიზმისა თუ არასრულფასოვნების გრძნობის გამომწვევი ტექსტები;

- ცენზურა ებრძოდა განსაკუთრებით ეროვნული ფასეულობის მქონე სიმბოლოებს: ქართულ დროშას, ჰიმნს, ენას, ისტორიას და სხვ.;
- მკაცრად იყო აკრძალული უცხოური ლიტერატურის თარგმნა რესპუბლიკის ენაზე, თუ ამგვარი თარგმანი ჯერ რუსულ ენაზე არ არსებობდა. აქ ერთი ფარული მიზანიც მოქმედებდა: ყველა მთარგმნელი იყენებდა რუსულს, რაც გავლენას ახდენდა თარგმანის ენაზე;
- სახელმძღვანელოები, რომლებიც ეხებოდა პარტისტორიას, ეკონომიკის თეორიას, ფილოსოფიას, სოციოლოგიას უნდა თარგმნილიყო მოსკოვში მოწონებული წიგნებიდან.

საბჭოთა ცენზურა თვალს ადევნებდა ეროვნული თვითგამორკვევისკენ მიმართული ნებისმიერი აზრის გამოჩენას და გამოჩენისთანავე სპობდა მას. არსებობდა აკრძალული მწერლების სია: გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე და სხვ. პუბლიკაციაში მათი სახელების მოხსენიებაც კი სასტიკად აკრძალული იყო. კონსტანტინე გამსახურდიას საყვედურობდნენ ძველი ქართული ლექსიკით გატაცებას. ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო და მთის კილოც კი მიუღებლად და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ მიაჩნდათ.

1978 წლის აპრილში სახელმწიფო ენის შესახებ კონსტიტუციის შესაბამის მუხლში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული მღელვარებისას თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის საკითხი და მისი რედაქტორი გივი შეყილაძე მოხსნეს იმის გამო, რომ გაზეთის პირველ გვერდზე ეწერა კონსტიტუციის ტექსტი, ხოლო ბოლო

გვერდზე – ტარიელ ხარხელაურის ლექსები, რომლებსაც სევდიანი და პატრიოტული განწყობილება ჰქონდა. ცენზურა ენობრივ მხარესაც ეხებოდა. გაზეთში დამახინჯებულად დაბეჭდილი სიტყვა „სტალინგადის“ გამო სამსახურიდან დაითხოვეს სტამბის მუშაკი, ხოლო უფროსს გამოუცხადეს საყვედური.

ცენზურა არა მარტო კრძალავდა საბჭოთა იდოლოგიისათვის არასასურველ მასალას, არამედ მოითხოვდა იდეოლოგიის შესაბამისი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას: „საბჭოთა ხალხი“, „დიდი რუსი ხალხი“, „საბჭოთა მწერალი“, „ძმური საბჭოთა ოჯახი“ და სხვ. ტერმინი „ენა“ უამრავი ეპითეტით იხმარებოდა: ქართული მხოლოდ ენა იყო და არა „დიდი ქართული ენა“ მაშინ, როცა რუსული „დიდიც“ იყო და „დიადიც“. ცენზურა მოქმედებდა ყველა სფეროში: მეცნიერებაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში, არქიტექტურაში, მუსიკაში, თეატრსა და კინოში.

1978 წლის კონსტიტუციის დასამტკიცებელ პროგრამაში გათვალისწინებული იყო, რომ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი იურიდიულადაც ჩამორთმეოდა. ამ პროექტის განხილვა გაიმართა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მწერალთა კავშირში. ზოგიერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე შეგუებული იყო არსებულ მდგომარეობას. ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის განხილვაზე ერთ-ერთმა თქვა: „ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა... ჩვენში უკვე ყველა განათლებულმა

ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ გვჭირდება“.

საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების დარად, საქართველოც თანახმა იყო, სახელმწიფო ენის სტატუსი კონსტიტუციურადაც მინიჭებოდა ორივე ენას — რუსულსა და ქართულს. ეს იყო მშობლიური ენის გადარჩენის შესაძლებლობა. საბედნიეროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ უკან დაიხია და 1978 წელს ქართული ენის დაცვა მოხერხდა.

1989 წლიდან დაიწყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვაზე ზრუნვა. შემუშავდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის ქართული ენის ასათვისებლად ხელშემწყობი პირობები შეიქმნა.

დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში, სახელმწიფოს ენას იცავს „კანონი ენის შესახებ“. თუმცა, მრავალსაუკუნოვანმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ ენაში შესამჩნევი კვალი დატოვა. ქართულ-ბერძნული, ქართულ-არაბული, ქართულ-სპარსული, ქართულ-ოსმალური, ქართულ-რუსული ძალადობრივი თუ ნებაყოფლობითი ისტორიული ურთიერთობები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ იმ უცხო ენათა ლექსიკური ერთეულები დღესაც ცოცხლობენ ქართულში, თანაც ავტონომიურობის უფლებით. წარსულის გამოცდილების გაცნობა, შესწავლა და სამომავლოდ გათვალისწინება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, რომ წინაპრების მიერ ხშირად სიცოცხლის ფასად გადარჩენილი და დღევანდლამდე მოტანილი უმდიდრესი ქართული ენა არ დავკარგოთ მისი სათანადო მოუვლელობით.

თამარ აქუბარდია
ჭალის თემის N1 საჯაროს
სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე,
ხელმძღვანელი: პროფ. **დიანა ტყეებუჩავა**

საოკუპაციო ხაზისპირა სოფლების გაუმჭვირვალე პრობლემები

განათლება — ოკუპაციასთან ბრძოლის ერთადერთი იარაღი

ენგურის ხიდი ერთადერთი და ყველასთვის ცნობილი ადგილია, სადაც ადამიანს აფხაზეთის მიმართულებით ან უკან გადაადგილების უფლება ხანგრძლივი წვალების შემდეგ ეძლევა (ახლა ეს ხიდიც, თითქმის, აღარ ასრულებს ამ ფუნქციას). თუმცა, რეალურად, საოკუპაციო ხაზი ამ ერთი ხიდით არ შემოიფარგლება. იგი საკმაოდ დიდია და რამდენიმე სოფელს მოიცავს. საოკუპაციო ხაზისპირა დასახლებებს აფხაზეთამდე ან ენგური აშორებთ, ან კავკასიონის მთათა სისტემის ნაწილი. 2021 წლის ერთ „მშვენიერ“ დღეს კი ამ სოფლებიდან რამდენიმეს მოსახლეობამ მოულოდნელად შეიტყო, რომ ისინი საოკუპაციო ხაზის პირას „აღარ ცხოვრობენ“, ვინაიდან ეს სტატუსი სახელმწიფომ ჩამოართვა. უფრო მეტიც, მთავრობის N534 გადაწყვეტილებამ მათ ასევე გაუუქმა ამ ხაზისპირა სოფლის მოსახლეობისთვის განკუთვნილი ერთადერთი შეღავათი — უმაღლესი განათლების მისაღებად გამოყოფილი სუფსიდია.

ინფორმაცია, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის

სამეგრელოს სამი სოფლისთვის (ჭალა, ფახულანი და მუჟავი) ხაზისპირა სოფლის სტატუსი აღარ არსებობს. შეიძლება, იგივე მდგომარეობაა სხვა ხაზისპირა სოფლების შემთხვევაშიც, მაგრამ სანდო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არ გასაჯაროვებულა. უფრო სწორად, გარკვეული ცნობა არსებობს, მაგრამ არც არსებობს. თუ ახლა დაიბენით, ჩვენც იგივე დაგვემართა, როდესაც გავიგეთ, რომ ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლებიდან მხოლოდ ერთს, ეწერფერდს აქვს სტატუსი შენარჩუნებული. იგივე ხდება ფახულანისა და მუჟავის შემთხვევაშიც, რომლებსაც სტატუსი მოუხსნეს და მათ თემში შემავალ მხოლოდ ერთ სოფელს დაუტოვეს.

სიტუაციას ნათელი რომ მოვფინოთ და საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც გასაგები გავხადოთ არსებული აბსურდული რეალობა, თვალსაჩინო ნიმუშს შემოგთავაზებთ: მე, როგორც ეწერფერდის მცხოვრები, საოკუპაციო ხაზისპირა სოფლის მოსახლედ ვითვლები და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელში სწავლას მთავრობა დამიფინანსებს, ჩემს თანასკოლელ მეგობარს კი, რომელიც ჩემი თემის სხვა სოფელში ცხოვრობს, ჩემნაირი სტატუსი არ გააჩნია. ფაქტობრივად, ერთი თემის მოსახლეობის დაყოფა და დაპირისპირება ჩვენს თვალწინ ხდება. უსამართლობას უფრო ნათლად გრძნობ, როდესაც გახსენდება, რომ 2008 წელს ჭალის თემის შემოსასვლელში რუსული ბაზები იყო განლაგებული,

რომელიც ერთნაირად გვიქმნიდა საფრთხეს, როგორც ჩემს მეგობარს, ისე მე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი ამბობს, რომ საზღვრისპირა სოფლის სტატუსი არც არასდროს გვქონია. მისი განცხადებით, 2014 წლიდან სოფლები არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ მოიხსენიება, თუმცა, ამბობს, რომ ამ პრობლემას მოაგვარებს. ჯერ ბედნიერი ვუსმენ, მაგრამ შემდეგ ვიგებ, რომ ის მხოლოდ ეწერფერდს გულისხმობდა და არა — მთელ სოფელს. თუმცა, ამ ინფორმაციის გადამოწმებას ვერსად ვახერხებ. XXI საუკუნეში, როდესაც კავშირები და კონტაქტები უმარტივესია, როდესაც ღილაკზე ერთხელ დაჭერით შეიძლება წვდომა მქონდეს უსაზღვრო ინფორმაციაზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული ზანზიბარის რესპუბლიკით დამთავრებული, თბილისიდან რვა საათის სავალზე მყოფ ხაზისპირა სოფლებისთვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია გზაში იკარგება. ამ სრულიად გაუმჭვირვალე პროცესში ახალგაზრდების ინტერესები ყველაზე ნაკლებად ადარდებთ.

„რაში გჭირდებათ სტატუსი?“

როდესაც ამ თემაზე პირველი მასშტაბური საჯარო გამოსვლა გავაკეთეთ სოციალურ ქსელებში, ჩვენი მისამართით გარკვეული აგრესია წამოვიდა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, რეალურ ადამიანებთან გვქონდა საქმე თუ სოციალურ მედიაფლატფორმაზე ხელოვნურად შექმნილ პროფილებთან. თუმცა, ჩვენი ლანძღვის შემდეგ, მათ მიერ დასმული ერთადერთი კითხვა იყო — „რას წყვეტს სტატუსი?“ არადა, უმთავრესი სწორედ ესაა და არა სტატუსდაკარგული

მაცხოვრებლების პირადი გასაჭირი სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ ხაზისპირა სოფლები არ არსებობა. იქნებ, ამ მომენტისთვის პოზიტიური აზრები ამოგიტივტივდათ: თუ ხაზისპირა სოფლები არ არსებობს, ე.ი. არც ოკუპაცია არსებობსო. თუმცა, მწარე და პრობლემებით დახუნძლულ რეალობაში მომიწევს, დაგაბრუნოთ და გითხრათ, რომ ჩვენც ზუსტად ამას გვეუბნებიან. სამწუხარო ფაქტი ისაა, ოკუპაცია არსად გამქრალა მაშინ, როცა ხაზისპირა სოფლის სტატუსი გააქრეს. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყანამ, რომლის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია? ვის წისქვილზე ასხამს ეს წყალს? რა თქმა უნდა, ოკუპანტის.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც ჩვენი არსებობა უდავოდ სჭირდება საქართველოს, არის ენგურჰესი. სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ობიექტს, ჩვენი ენერგოსისტემის მთავარ მამოძრავებელს, გარს ეკვრის სოფლები: მუჟავა, ჭალე და ფახულანი. განა, საკამათო და საეჭვოა, ამ სოფლებში ინფორმირებული და განათლებული მოსახლეობის ყოლის სასიცოცხლო მნიშვნელოვნება ჩვენი ქვეყნისთვის?! სხვა რომ არაფერი, თუნდაც მხოლოდ ამის გათვალისწინებით უნდა ჩაიდოს ინვესტიცია ადგილობრივი ბავშვების განათლებაში.

ფული თუ სტატუსი?

კიდევ ერთი არასახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშია ადგილობრივებისთვის უკიდურესად გამაღიზიანებელი კომენტარი: ,,იქნებ, გრანტები აიღოთ და ისწავლოთ?“ ასეთი პათოსის მქონე, დემაგოგიურ განცხადებებს ავრცელებდა ჩვენი მისამართით საზოგადოების გარკვეული ნაწილი სოციალურ

ქსელში (საკითხავია, ისინი საზოგადოების რეალური წევრები იყვნენ თუ გამოგონილი ონლაინ ინდივიდები).

სიტუაციის არევამდე, საოკუპაციო ხაზისპირა სოფლების სტუდენტებისთვის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სუფსიდირება 2250 ლარით განისაზღვრებოდა. ამ ერთადერთი დახმარების გარდა, მოსახლეობას სხვა ტიპის დახმარება თვალითაც არ უნახავს. ცხადია, ჩვენს სოფელს ჰყავს სტუდენტები, რომლებიც გრანტით სწავლობენ იმის მიუხედავად, რომ მისი მოპოვება არც ისე ადვილია. ჩვენი სოფლის საკმაოდ წარმატებული ახალგაზრდები საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებას ეწევიან და ახლაც იბრძვიან სამართლიანობის აღდგენისთვის. მთავარი პრიორიტეტი არა ფული, არამედ სტატუსია, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე — მთლიანად საქართველოსთვის. თუმცა, თავისთავად სუფსიდირების პროგრამაც უაღრესად ბევრს ნიშნავს, რადგან უმაღლესი განათლების მიღება სოფელში მცხოვრები ბავშვისთვის ძვირი ფუფუნებაა. მან ოჯახის თანადგომით უნდა იშოვოს საცხოვრებელი ბინა ქალაქში (რადგან საერთო საცხოვრებლების სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობს). შემდეგ, უნდა მოახერხოს ტრანსპორტის, საკვების, ტანსაცმლის და სხვა ელემენტარული საყოფაცხოვრებო ყოველდღიური ხარჯებისთვის ფინანსების მოძიება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მთვარესა თუ მარსზე ტურისტულად გასამგზავრებელ თანხას გაცილებით იოლად შეაგროვებ, ვიდრე იმ მწირ, მაგრამ უსაშველოდ რთულად მოსაპოვებელ ფულს, ბაკალავრიატში სწავლისას რომ სჭირდება ქალაქში წასულ ახალგაზრდას.

ჩვენი სოფლის მაგალითი რომ ავიღოთ, აქ სამსახურს მარტო ენგურჰესზე, სკოლებსა და ბაღებში თუ იშოვით, ან კერძო მაღაზია უნდა გახსნათ და თვითდასაქმებით დაკავდეთ. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილ დაწესებულებებში არსებული სამუშაო ადგილები ჭალეში მცხოვრებ 900 ადამიანს არანაირად არ ეყოფა. სხვა შემოსავალი კი თხილის ბიზნესია, რომელიც მავნებლის შემოსევის შემდეგ, არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ძნელი არაა იმის სათანადოდ გააზრება, რას ნიშნავს ამ სოფლისთვის ეს ერთადერთი შეღავათი.

მოგონებები 2008 წლიდან...

ცოტა ხნის წინათ მეზობელი სოფლის მაცხოვრებელმა ბავშვმა, რომლის სოფელშიც იგივე ხდება, რაც ჩემსაში, ერთი ამბავი მიამბო. 2008 წელს მისი სკოლის წინ რუსმა ოკუპანტებმა ნაღმი დაამონტაჟეს ისეთ ადგილას, სადაც ადგილობრივი ბავშვები მუდმივად გადაადგილდებოდნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, რაოდენ დიდ საფრთხესთან ჰქონდათ საქმე, სანამ ნაღმი ადგილობრივებმა არ შენიშნეს. საბედნიეროდ, ნაღმზე არავინ დაშავებულა.

2008 წელს ჩემს დედულეთში, მუჟავაში, ოკუპანტებმა ტერორისტული აქტი მოაწყვეს. მათ ბომბი ადგილობრივის სახლში ჩაამონტაჟეს და მაშინ აამოქმედეს, როდესაც ადგილზე ჟურნალისტები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მივიდნენ ხაზისპირა სოფლებში ვითარების შესასწავლად. გამოჩენისთანავე, მათ ცეცხლი გაუხსნენს და ააფეთქეს. წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამ თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვა

— გარდაიცვალა წალენჯიხის რაიონის გამგებელი გია მებონია. სიკვდილს სასწაულით გადაურჩნენ სხვა ადამიანები.

2008 წლიდან დღემდე გატაცების ფაქტებიც არაერთხელ დაფიქსირებულა. მართალია, ეს ისევე ხშირად არ ხდება, როგორც სამაჩაბლოში საოკუპაციო ხაზთან, თუმცა, გატაცებაც და ხაზის გადმოწევაც რეალური ფაქტებია. 2008 წელი ჩვენი სოფლისთვისაც განსაკუთრებულად მტკივნეულია. ეს ცოტა დახურული თემაა, რომელზეც ხალხს საუბარი არ სურს. მიზეზი მარტივია. მათ ახსენდებათ გადატანილი საშინელება:

- ტანკები სოფლის შესასვლელთან
- რუსული ჯარის ნაწილები, რომელიც აგვისტოს ომის დასრულების შემდეგაც კარგა ხანს არსად წასულა
- გამუდმებული პატრულირება ვერტმფრენით, რასაც სოფელში არსებული ავარიული სახლები ვერ უძლებდა
- ნახევრად დაცლილი სოფელი
- იმის შიშში გატარებული ხუთი დღე, რომ შეიძლება თავზე ნებისმიერ წამს შეიძლებოდა თავზე ჭურვი დაგცემოდა

ენა იოლად იტყვის. ამბად რთული დასაწერიც არ აღმოჩნდა. რეალურად კი სამუდამოდ რჩება ტკივილი, დარდი, შიში, დაუცველობის განცდა. იგივეს გამეორების ან უარესის მოხდენის გაურკვევლობა.

ვინ მიიღო გადაწყვეტილება

პრობლემა სახეზეა. მისი გადაჭრა კი მხოლოდ მას მერე იქნება შესაძლებელი, თუ გაირკვევა, ვინ მიიღო სტატუსის მოხსნის გადაწყვეტილება. რამდენიმე თვის წინ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის

შედეგად გავიგეთ, რომ მომხდარი ფაქტის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს არამყარი კანონმდებლობაა. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს №534 დადგენილებაში მე-3 მუხლის კ) პუნქტით მთავრობამ საბიუჯეტო თანხიდან (ერთი მილიონ ცხრაას ოცი ათასი ლარი) ხაზისპირა სოფელში მცხოვრებ სტუდენტებს თანხა გამოუყო და პრობლემაც სწორედ აქ გაჩნდა: ხელისუფლებას არ დაუზუსტებია იმ სოფლების სახელწოდებები, რომელთაც აღნიშნული კანონი ეხება. ასეთმა ზოგადმა კანონმა კი გარკვეულ ორგანოებს საშუალება მისცა სოფლების სახელები სურვილისამებრ შეეცვალა. [1] თუმცა, ჯერჯერობით, ვერ დავადგინე, კონკრეტულად რომელი უწყება აკეთებს ამას.

სტუდენტების რაოდენობა

სუფსიდირების პროგრამის ამოქმედებისთანავე იჩინა თავი პრობლემამ, რაც, ვფიქრობ, დადგენილების კიდევ ერთი ხარვეზია. როდესაც საზოგადოებამ 534-ე დადგენილების შეახებ შეიტყო, ამ დახმარების პროგრამით სარგებლობა გადაწყვიტა. მასობრივად ხდებოდა ბავშვების სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან გადმოსვლა ხაზისპირა სოფლებში, შემდგომ საუნივერსიტეტო სწავლის დაფინანსების მისაღებად. ასეთი „მიგრანტები“ სამი-ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდნენ საოკუპაციო ხაზისპირა სოფლებში და შემდეგ დაფინანსებას იღებდნენ. ამ პროცესის რეგულირების მექანიზმი არცერთ ადგილობრივ სკოლას არ გააჩნია. ცხადია, ვერავის აუკრძალავ ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლას. დაფინანსების მოხსნის მიზეზად სწორედ ამას ასახელებენ უფლებამოსილი პირები. თუმცა, პრობლემის მოგვარება მარტივია. უბრალოდ, კანონში

უნდა არსებობდეს შემაკავებელი წინაპირობა, მაგალითად, ასეთი: დაფინანსება გადაეცემა ყველა სტუდენტს, რომელიც ბოლო ექვსი სასწავლო წლის განმავლობაში სრულად სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი წინაპირობა: დაფინანსება გადაეცეთ იმ ბავშვებს, რომელთა ფაქტობრივი მისამართი არის ან იყო ხაზისპირა სოფლები.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. ჩვენი ქვეყანა კი ისევ ამ დილემის წინაშე დგას. ვცადე, მეჩვენებინა პრობლემა, უფრო სწორად, ის დიდი უსამართლობა, რომლის წინაშეც ჩემი მეგობრები დგანან და რომელთან ბრძოლასაც ვცდილობთ, თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ. რამდენიმე სიუჟეტი უკვე გავიდა ტელევიზიით. ახალგაზრდები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელსა და ყველა შესაძლო კონტაქტს, რათა პრობლემა იმ ხალხის ყურამდე მივიდეს, ვისაც მისი მოგვარება ევალება და ხელეწიფება. ჯერ არც სტატუსი აღუდგენიათ და, შესაბამისად, არც დაფინანსება. დრო კი აღარ ითმენს. მალე, შესაძლოა, სტუდენტებს უნივერსიტეტებმა სტატუსი შეუჩერონ დავალიანების გადაუხდელობის გამო. მაშინ, როდესაც ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის უკანასკნელ იარაღად განათლება გვრჩება, ეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების ინდივიდუალური პრობლემის თვალსაზრისით, ისე — სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამების ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე (27/08/2020), საქართველოს მთავრობის დადგენილება N534, დოკუმენტის მიმღები: საქართველოს მთავრობა, გამოქვეყნების თარიღი 31 აგვისტო, 2020; „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ [matsne.gov.ge].
2. ჟურნალისტ ნატო ბერულავას ჩართვა გადაცემაში „მოამბე“: გადაადგილდებიან ჭალე-მუჟავის მიმართულებით, აქ მათ გზაგასაყარზე ჯავშანტრასპორტიორებთან ლეიბები მიიტანეს (აგვისტო, 2008), პირველი არხი.
3. წალენჯიხის რაიონის გამგებელი გია მებონია (25 ოქტომბერი, 2008), რადიო „თავისუფლება“ [radiotavisupleba.ge/a/1560137.html].
4. სოფელ მუჟავაში ნაღმის აფეთქების შედეგად წალენჯიხის რაიონის გამგებელი გია მებონია გარდაიცვალა (7 მაისი, 2010), „ამერიკის ხმა“ [amerikiskhma.com/a/a-54-2008-10-25-voa1-93113514/524075.html].
5. ფახულანში, საოკუპაციო ხაზთან სტუდენტებმა აქცია გამართეს [facebook.com/TVODISHIOFFICIAL/videos/341876683937211/]
6. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ სტუდენტებს დაფინანსება მოუხსნეს (11 მაისი, 2021), „აფხაზური ამბები“.
7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სტატუსის შეჩერების გამო, სტუდენტები დაფინანსების გარეშე დარჩნენ (7 მაისი, 2021), „ჯვარინიუსი“, ტელეკომპანია „ფორმულა“.
8. გოგოხია ემა (11 მაისი, 2021), საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ სტუდენტებს დაფინანსება მოუხსნეს, ტელეკომპანია „მთავარი“ [mtavari.tv/news/43135-saokupatsio-khaztan-mtskhovreb-studentebs].

მარიამ კალატოზიშვილი
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის მასკომუნიკაციისა
და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. **მაია ნადარეიშვილი**

„რკინის ლედის“ ოქროს სახელი

მსოფლიოს მრავალი პოლიტიკოსი ქალი ახსოვს, თუმცა, ყველამ როდი შეძლო, ქვეყნისა თუ მსოფლიოს პოლიტიკაში რადიკალური გარდატეხა მოეხდინა და ისტორიაში შესულიყო. ძლიერ ქალ-პოლიტიკოსზე საუბრისას, შეუძლებელია, უზადო ვარცხნილობითა და კლასიკური ჩაცმულობით გამორჩეული ინგლისელი ბარონესა, მარგარეტი არ გაგახსენდეთ, რომელსაც რკინის ლედი უწოდეს კოლეგა მამაკაცებმა.

მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი (ქალიშვილობაში, რობერტსი) 1925 წლის 13 ოქტომბერს, ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის ერთ-ერთი პატარა ქალაქის პატარა, ღრმადმორწმუნე ოჯახში დაიბადა. ის დედის, მამისა და 4 წლით უფროსი დის გარემოცვაში იზრდებოდა. მარგარეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მამამისს — ალფრედ რობერტსს (1892-1970), ოდესღაც დახლიდარს, შემდგომ კი პროვინციული გრანთემის მერს 1943-1952 წლებში. სწორედ ბატონი რობერტსის ზეგავლენის შედეგი იყო მისი უმცროსი ქალიშვილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობისაკენ მიდრეკილება. მამამ ჩაუნერგა გოგონას პოლიტიკისადმი ინტერესი და ასწავლა, რომ აბსოლუტურად

ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი, თუ თავდაუზოგავად იშრომებ.

5 წლის ასაკში პატარა მარგარეტი დაწყებითი განათლების მიღებას შეუდგა. სკოლაში სწავლის პერიოდში იგი სპორტით იყო გატაცებული და ბალახის ჰოკეის, ცურვისა და სპორტული სიარულის წრეებზე დადიოდა. 12 წლის გოგონა ლონდონში ექსკურსიაზე წაიყვანეს. დედაქალაქის ხილვის შემდეგ მოზარდმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ პოლიტიკოსი გახდებოდა. თუმცა, მის რობერტსმა სრულიად აპოლიტიკური განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც 1942 წელს ქიმიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ინტერესებიდან გამომდინარე, მარგარეტი ადრეული ასაკიდანვე ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში. სტუდენტობის პერიოდში ოქსფორდის უნივერსიტეტის კონსერვატორთა ასოციაციის წევრი გახდა, სადაც მალევე პრეზიდენტად აირჩიეს. ეს მისი ცხოვრების ერთ-ერთი პირველი, დიდი წარმატება იყო. თუმცა, აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლამდე მარგარეტი საკუთარი პროფესიით, ქიმიკოს-მკვლევრად მუშაობდა ბრიტანულ კომპანია „ლაიონს ენდ კომპანიში“, სადაც ნაყინის შენახვის მეთოდებს იგონებდა და აუმჯობესებდა.

1951 წლის ზამთრის მიწურულს, ერთ-ერთ ვახშამზე, მარგარეტმა ბრიტანელი ბიზნესმენი, ცოლს გაშორებული, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, დენის ტეტჩერი (1915-2003) გაიცნო. სადილის შემდეგ დენისმა ქალიშვილი სადგურამდე მიაცილა და ყველაფერი სწორედ იმ საღამოს დაიწყო. ოჯახი მალევე შექმნეს და 1953 წელს ტყუპები — მარკი და კეროლი შეეძინათ. მისტერ და მისის ტეტჩერებს არაჩვეულებრივი ცოლ-

ქმრობა ჰქონდათ. მარგარეტი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური საქმიანობის სიმძიმეს დენისი უმსუბუქებდა. სწორედ ქმრის მუდმივი თანადგომის წყალობით, არასოდეს გრძნობდა თავს მარტოსულად. დენისი მისთვის იდეალური მეუღლე და მეგობარი გამოდგა. მარგარეტის ქალიშვილი, კეროლ ტეტჩერი ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი გახდა, ხოლო მისმა ტყუპისცალმა, მარკ ტეტჩერმა უფრო მეტად ფინანსური და პოლიტიკური სკანდალებით დაამახსოვრა თავი მსოფლიოს. მან ეკვატორულ გვინეაში გადატრიალება მოაწყო, რის გამოც დააპატიმრეს და ნახევარმილიონიანი ჯარიმა დააკისრეს. სწორედ ამ ნასამართლობის გამო, მარკ ტეტჩერს სამუდამოდ აკრძალული აქვს აშშ-ისა (სადაც მისი პირველი ცოლი და შვილები ცხოვრობენ) და შვეიცარიის საზღვრის გადაკვეთა.

გასაკვირი არ არის, რომ მარგარეტის პოლიტიკური კარიერის დასაწყისი მარტივი არ ყოფილა. XX საუკუნის შუა ხანებში საზოგადოებისთვის ჯერ ისევ ძალიან უცხო იყო პოლიტიკაში ქალის ღიად აქტიურობა. მითუმეტეს, ამბიციური ქალი იწვევდა განსაკუთრებულ პროტესტს ხალხში. შესაბამისად, ქალბატონ ტეტჩერს დიდი წინაღობების გადალახვა მოუწია დასახული მიზნის მისაღწევად. თუმცა, მისი მტკიცე და სირთულეების დაძლევის მოყვარული ხასიათი ძალიან გამოადგა ნებისმიერ პრობლემასთან გამკლავებაში.

დიდი ხნის მცდელობის შემდეგ, 1959 წელს, როგორც იქნა, მოახერხა და პირველად გახდა ინგლისის პარლამენტის წევრი. 1961-1964 წლებში საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპარლამენტო მდივნის თანამდებობა ეკავა, ხოლო 1970 წელს განათლების მინისტრად დაინიშნა. ამ

თანამდებობაზე ყოფნას მშვიდად არ ჩაუვლია. შეიძლება ითქვას, ეს იყო მარგარეტისთვის პირველი სკანდალი, რომლითაც დაიწყო მისი ხანგრძლივი პოლიტიკური სკანდალებით აღსავსე ცხოვრება.

სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით, განათლების მინისტრის პოსტზე დანიშვინის შემდეგ, მარგარეტმა მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომ ბრიტანეთის სკოლებში ტრადიციული ერთი ჭიქა უფასო რძის გაცემა შეეწყვიტათ. ამ ნაბიჯმა ეროვნული აჟიოტაჟი გამოიწვია ინგლისში. ფაქტობრივად, ყველა თანამოქალაქემ გააკრიტიკა ამისათვის და ხალხმა მას „რძეპარიაც“ კი შეარქვა. თუმცა, პრობლემა ისე მარტივად მოსაგვარებელი როდი იყო, როგორც მის ოპონენტებსა და მოსახლეობას წარმოედგინა. მარგარეტს მიაჩნდა, რომ სოციალური დახმარება უსამართლო იყო. უფასო რძე ხალხის მიერ გადასახადებით შევსებული ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. გამოდიოდა, რომ ღარიბების მიერ გაღებული თანხით შეძენილ რძეს მდიდრებიც სვამდნენ. ეს, თითქოს, მარტივი ლოგიკა მასების უკმაყოფილებას ვერ შველოდა. ტეტჩერის გადაწყვეტილებამ მინისტრის რეპუტაციას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. თუმცა, მეორე მხრივ, წარმოაჩინა საქმიანი ქალის უკომპრომისო, შეუპოვარი ხასიათი და ყველა მიახვედრა, რომ მათ წინაშე უჩვეულოდ პრინციპული პოლიტიკოსი იდგა, რომელიც არ მოერიდებოდა რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებას. ასეთი ძლიერი ხასიათის მქონე ფიგურა კი იმ დროს ძალიან სჭირდებოდა სახელმწიფოს.

1970 წელი ეკონომიკურად უმძიმესი აღმოჩნდა ბრიტანეთისთვის. დღეს ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ

ისეთ ძლევამოსილ ქვეყანას, მთელ ევროკავშირს რომ ბრექსითით უპირისპირდება და, ჯერჯერობით, ჯაბნის კიდეც, ოდესღაც უკიდურესი ეკონომიკური გასაჭირი ედგა; მაგრამ ფაქტია, რომ იმ პერიოდში გაერთიანებული სამეფო ფინანსურად განადგურებული იყო. ელექტროენერგია გარაფიკით მიეწოდებოდა მოსახლეობას, ქუჩები ნაგვით იყო სავსე, დასაქმებულები კი, თითქმის, ყოველდღე გაფიცვას აწყობდნენ. ამ გაჭირვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ლეიბორისტული მთავრობის არასწორი პოლიტიკა — თითქმის, ყველა ბიზნესის ნაციონალიზაცია განახორციელეს და შედეგად ის მიიღეს, რომ ბრიტანეთი ნახევრად სოციალისტურ ქვეყნად აქციეს.

1974 წელს კონსერვატიულ პარტიაში შიდა პოლიტიკური დაპირისპირებანი დაიწყო. წარმოიქმნა რამდენიმე პოლიტიკური დანაყოფი. ერთ-ერთ მათგანში მარგარეტ ტეტჩერი აღმოჩნდა. იგი მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ედუარდ ჰიტის (1916-2005) პოლიტიკას აკრიტიკებდა. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა „ახალი კონსერვატორების" პარტიას, რომელმაც პარლამენტში შესვლისთვის ბრძოლა დაიწყო. 1975 წელს კონსერვატიული პარტიის ლიდერი მარგარეტ ტეტჩერი გახდა და მისი თაოსნობით დაიწყო ბრძოლა საპარლამენტო უმრავლეობის მოსაპოვებლად. ლეიბორისტების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კონსერვატორებმა საზოგადოების ნდობა მოიპოვეს, რაც გამარჯვების წინაპირობას ქმნიდა. 1979 წლის 30 მარტს ირლანდიელმა ექსტრემისტებმა კონსერვატორი ეირი ნივი (1916-1979) მოკლეს. მისმა ძალადობრივი გზით დაღუპვამ ლეიბორისტული ხელისუფლების დასასრული დააჩქარა.

ხელისუფლება იძულებული გახდა, ვადამდელი არჩევნები დაენიშნა.

1979 წელს კონსერვატიულმა პარტიამ, მარგარეტ ტეტჩერის ლიდერობით, საპარლამენტო არჩევნები მოიგო და ბრიტანეთის ისტორია გახდა მოწმე პირველი ქალი პრემიერ-მინისტრისა. პოსტის დაკავების შემდეგ, მარგარეტმა თავისი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „უაღრესად საინტერესო ფაქტია, რომ პატარა ქალაქში, ძალიან მოკრძალებულ ოჯახში მიღებულმა ცოდნამ, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს არჩევნებში გამამარჯვებინა“.

მარგარეტის უპირველეს ამოცანას ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა წარმოადგენდა. მისი რეფორმები, როგორც მოსალოდნელი იყო, რადიკალური აღმოჩნდა. მას სწამდა, რომ ბიზნესი მხოლოდ მაშინ აღორძინდებოდა, როდესაც ფინანსური წარმატება და წარუმატებლობა უშუალოდ ბიზნესმენების კეთილდღეობაზე აისახებოდა. სწორედ ამიტომ, გაერთიანებულ სამეფოში პრივატიზაციის ფართომასშტაბიანი პროცესი დაიწყო. ძალიან ბევრი სახელმწიფო ქონება და ბიზნესი გაიყიდა და კერძო სექტორად გადაიქცა.

ეს იდეა ტეტჩერის წინამორბედებსაც ჰქონდათ, რადგან მათაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ ეკონომიკის გაუმჯობესებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სწორედ ეს იქნებოდა, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნული გეგმა რეფორმის ავტორის იმიჯისათვის საკმაოდ სარისკო გახდებოდა და ვერავინ ბედავდა მის ცხოვრებაში ხორცშესხმას. მსგავს რადიკალურ გადაწყვეტილებას და პრივატიზაციის პირველ ეტაპს მასობრივი უმუშევრობა მოსდევს, რაც მომდევნო არჩევნებში პირდაპირ

აისახება ხოლმე მმართველი პარტიის მიღებულ ხმებზე. მარგარეტისნაირი გამბედავი არცერთი მინისტრი არ აღმოჩნდა და ვერავინ გარისკა საკუთარი პოლიტიკური მომავლის სასწორზე დადება.

რა თქმა უნდა, ბრიტანეთის პირველი ქალი-პრემიერიც ვერ გადაურჩა უმუშევრად დარჩენილი საკუთარი ხალხის რისხვას. მისი მინისტრობის პირველი წელიწადი ძალიან რთული და უკიდურესად კრიტიკული იყო. სამსახურ და სარჩოდაკარგულმა მოსახლეობამ საპროტესტო აქციები წამოიწყეს. 1981 წლის თებერვალში უმუშევართა რაოდენობამ 2.4 მლნ შეადგინა, რაც მოსახლეობის 10%-ს უდრიდა. შესაბამისად, ტეტჩერის რეიტინგი 28%-მდე დაეცა. საპროტესტო გამოსვლების მონაწილეები პროცესის შეჩერებას მოითხოვდნენ, მაგრამ პრემიერი კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა. მის ადგილას, ალბათ, ძალიან ბევრი მმართველი შეუშინდებოდა მასობრივ წინააღმდეგობას და აუცილებლად დათმობდა, მაგრამ მარგარეტი სხვებს არ ჰგავდა. ამჯერადაც აჩვენა თავისი რკინის ნება. ფრთიან გამოთქმად გადაიქცა მისი ფრაზა: „ბრბოს კი ნუ გაჰყვები, გაიყოლე!“ სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა. ცდილობდა, ხალხის აზრს კი არ დაჰყოლოდა და დაეთმო, არამედ, პირიქით, ხალხი გადაეყვანა თავის პოზიციაზე და ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც სწორად მიაჩნდა.

პირველმა ქალმა პრემიერ-მინისტრმა საკუთარი იმიჯი და პოლიტიკური მომავალი, კიდევ ერთხელ დადო სასწორზე 1982 წელს, როდესაც არგენტინასთან ომში ჩაერთო. იმ წელს არგენტინამ ფოლკლენდისა და სამხრეთ ჯორჯიის კუნძულების

ოკუპაცია მოახდინა, რაც ბრიტანეთისთვის უდიდესი გამოწვევა გახდა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა: ქვეყნების ნაწილი მოლაპარაკების მომხრე იყო, ნაწილი პირდაპირ არგენტინას უჭერდა მხარს, ბრიტანეთს კი არავინ მიემხრო. დაახლოებული პირებიც ურჩევდნენ ბრიტანეთის პრემიერს, რომ პროვოკაციაზე ომით არ ეპასუხა. თუმცა, მარგარეტმა არავის დაუჯერა, დათმობის მომხრე საგარეო საქმეთა მინისტრიც კი თანამდებობიდან გაუშვა და კუნძულებისკენ ბრიტანული ფლოტი გაგზავნა, მტრის უკან დახევის მოთხოვნით. ეს გადაწყვეტილებაც ძალიან სარისკო იყო პოლიტიკოსის იმიჯისა და, შესაბამისად, მომავალი არჩევნების შედეგებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანეთი ომში დამარცხდებოდა, მთლიანი პასუხისმგებლობა მარგარეტს დაეკისრებოდა და მისი პოლიტიკური რეპუტაცია სამუდამოდ განადგურდებოდა. რამდენადაც საშიში იყო ამ ომში დამარცხება, იმდენად სასარგებლო იქნებოდა მისი კარიერისთვის არგენტინასთან კონფლიქტში საკუთარი ინტერესების წარმატებით დაცვა. საბედნიეროდ, ბრიტანეთმა ამ რისკიან ბრძოლაში ღირსეული გამარჯვება მოიპოვა და შედეგად, ტეტჩერის პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა. ქალმა ამით ისარგებლა და სასწრაფოდ რიგგარეშე არჩევნები დანიშნა, რისთვისაც ოპოზიცია მოუმზადებელი იყო. ბუნებრივია, რომ 1983 წლის 9 ივნისის არჩევნებში კონსერვატორებმა იოლად გაიმარჯვეს და ინგლისის პარლამენტში 397 დეპუტატით შევიდნენ. მომდევნო საპარლამენტო არჩევნებიც ასევე უპრობლემოდ მოიგეს და მარგარეტმა პოლიტიკურ კიბეზე აღმასვლა განაგრძო. 2015 წლის იანვარში ფოლკლენდის კუნძულების დედაქალაქ სტენლიში მარგარეტ ტეტჩერის

ბიუსტიც კი გაიხსნეს იმის აღსანიშნავად, რომ სწორედ ამ პოლიტიკოსი ქალის დამსახურება იყო ბრიტანეთის ზღვისიქითა ტერიტორიების არგენტინული ოკუპაციისგან ხსნა. ბიუსტის გახსნის ცერემონიალს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვაჟი, მარკ ტეტჩერი დაესწრო.

თავისი საკმაოდ ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის პერიოდში, მარგარეტ ტეტჩერმა საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოსვლაც მოასწრო. 1987 წლის გაზაფხულზე იგი საბჭოთა კავშირში, კერძოდ, მოსკოვში ჩაფრინდა. პროტოკოლით გათვალისწინებული იყო საპატიო სტუმრისათვის რუსეთის გარდა სხვა ადგილების ჩვენებაც და მარგარეტმა მეორე მასპინძელ ქვეყნად საქართველო დაასახელა. თბილისში დაუვიწყარი, ტრადიციული ქართული დახვედრა მოუწყვეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს. მან გაისეირნა ძველი თბილისის ქუჩებში, გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი ვაკის პარკში, მოინახულა ახლადგახსნილი ქორწინების სასახლე და ბოლოს, რუსთაველის გამზირზე, რესტორან „თბილისში“ ოფიციალურ ვახშამსაც დაესწრო, რომლის დროსაც მარგარეტ ტეტჩერი სიტყვით გამოვიდა. მან საკუთარი ემოციები გაუზიარა მასპინძლებს:

„როდესაც მოსკოვის გარდა რომელიმე ადგილის მონახულება შემომთავაზეს, დავფიქრდი, სად წავსულიყავი. რჩევა ვთხოვე ჩემს კოლეგასა და თანაშემწეს, ლორდ ვაითლოუს, რომელიც შარშან პარლამენტის დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა აქ და მან მითხრა, რომ არის ერთი ადგილი, სადაც უნდა წავსულიყავი ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე — ეს საქართველოა. და აი, მე აქ ვარ. შემიძლია ვთქვა,

რომ იგი აბსოლუტურად მართალი იყო... თავად დავრწმუნდი თქვენი ქვეყნისა და თქვენი დედაქალაქის არაჩვეულებრივ სილამაზეში. თქვენ, უეჭველია, ყველაზე ძველი ხალხი ხართ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. თქვენი კულტურა მსოფლიოშია ცნობილი... დღეს მცხეთაში ვიყავი და ვიხილე, რომ — თუ შეიძლება ასე ითქვას — დღესაც ჩვენ გზას ტაძარში მივყავართ. მსიამოვნებს განვაცხადო, რომ ბრიტანეთის კონტაქტები საქართველოსთან შორეულ წარსულში დაიწყო. ჩვენს ქვეყნებს აქვთ ტრადიციები, რითიც ვამაყობთ და რასაც წმინდად ვინახავთ. როგორც თქვენ, ისე ჩვენ ჩაის დიდი მოყვარულები ვართ. ჩვენ მფარველიც კი ერთი გვყავს — წმინდა გიორგი“.

ბრიტანეთის პრემიერის თბილისურ ვახშამზე სიტყვით გამოსვლა წინასწარდაგეგმილი არ ყოფილა. ბარონესამ სპონტანურად, ემოციურ ფონზე, დამოუკიდებლად გადაწყვიტა თავისი აზრის გაზიარება. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველომ და მისმა სტუმართმოყვარეობამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მრავლისმნახველ ბრიტანელ პოლიტიკოსზე. ამას ისიც მოწმობს, რომ როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ მარგარეტს თანამემამულე ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ გადაწყვიტა მაინცდამაინც საქართველოში სტუმრობა, მან უპასუხა: „მინდოდა თვალებში ჩამეხედა იმ ხალხისთვის, რომელმაც ისტორიის განმავლობაში არასდროს იცოდა, თუ რა არის ზიზღი სხვებისადმი“.

ტეტჩერისთვის პრემიერობის მესამე ვადა უკანასკნელი აღმოჩნდა. 1987 წელს კონსერვატორებმა კვლავ გაიმარჯვეს არჩევნებში, კვლავ მარგარეტის მეთაურობით. თუმცა, ამ დროისთვის დიდი ცვლილებები მოხდა მინისტრთა კაბინეტში

და, საბოლოოდ, პარტიაში პრემიერის პოლიტიკით უკმაყოფილო წევრთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. თანაპარტიელები ტეტჩერს კოლეგებთან კავშირის დაკარგვაში, გულგრილობაში, არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდნენ. ამის გამო, მარგარეტი იძულებული გახდა, ვადამდელი არჩევნები დაენიშნა 1990 წლის შემოდგომაზე. მართალია, არჩევნებში მარგარეტმა ხმათა უმრავლესობა მოიპოვა, მაგრამ, წესის მიხედვით, მას კონკურენტზე 15%-ით მეტი ხმა უნდა ჰქონოდა, რისთვისაც მხლოდ ოთხი ხმა დააკლდა. დაინიშნა მეორე ტური და ტეტჩერმა მიზნად დაისახა გამარჯვებისთვის ებრძოლა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას მისი ყველა მომხრე არ უჭერდა მხარს. მხოლოდ ნაწილი ფიქრობდა, რომ უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა. საბოლოოდ, პრემიერ-მინისტრმა დაუნინგ-სტრიტზე გამართულ კაბინეტის სხდომაზე დამსწრეებს გადადგომის განცხადება გააცნო. მას უნდა დაესახელებინა მემკვიდრე, რომელიც მის ნაცვლად იყრიდა კენჭს. ტეტჩერმა უპირატესობა ჯონ მეიჯორს მიანიჭა. ერთ კვირაში განმეორებითი არჩევნები ჩატარდა და სწორედ მისმა მემკვიდრემ მოიპოვა გამარჯვება. მოგვიანებით ათ ნომერში გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაიმართა, რომელსაც ადმინისტრაციის ყოველი თანამშრომელი დაესწრო. რამდენიმე დღეში ტეტჩერმა იქაურობა ემოციური სიტყვებით, ცრემლითა და აპლოდისმენტების თანხლებით დატოვა. იმავე წელს დედოფალმა ელისაბედ II-მ მარგარეტ ტეტჩერს გადასცა 1902 წელს მეფე ედუარდ VII-ს მიერ დაარსებული უმაღლესი ჯილდო — ორდენი „დამსახურებისთვის“.

დიდი ბრიტანეთის ახალ და უახლეს ისტორიაში სამი ვადით არჩეული სხვა პრემიერ-მინისტრი ჯერ არ ყოფილა. და საერთოდ, ძნელად წარმოსადგენია მმართველი, რომელიც ისეთი რთული ეკონომიკური კრიზისის პირობებში გაბედავდა მსგავსი რადიკალური რეფორმების გაატარებას, როგორსაც მარგარეტი შეეჭიდა. მასობრივ პრივატიზაციას, სოციალური პროგრამების შეზღუდვა და სხვა მრავალ მსგავს გადაწყვეტილებას ტეტჩერის რევოლუციას უწოდებენ და დღემდე სადავოა ამ რეფორმების მართებულობა. თუმცა, ფაქტია, რომ ამ ყველაფერმა დიდი წარმატება მოუტანა ქვეყნის ეკონომიკას და იხსნა იგი განადგურებისგან.

მძიმე შრომას მიჩვეული ტეტჩერი, დილის ხუთი-ექვსი საათიდან ღამის პირველ საათამდე სამსახურში იყო. „არასდროს მძინავს დღე-ღამეში ოთხ-ხუთ საათზე მეტი. ჩემი ცხოვრება — ჩემი სამსახურია. ზოგი მუშაობს იმისთვის, რომ იცხოვროს, მე კი ვცხოვრობ იმისთვის, რომ ვიმუშაო“, — ამბობდა იგი.

ბრიტანეთისა და ამერიკისთვის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოსთვის დიდი გამართლება იყო ისიც, რომ მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორ ბუმბერაზ ადამიანს — მარგარეტ ტეტჩერსა და რონალდ რეიგანს ერთად, ერთ პერიოდში მოუწიათ პოლიტიკური მოღვაწეობა. დროთა განმავლობაში ისინი ძლიერი მოკავშირეები გახადა ერთნაირმა შეხედულებებმა და არასოდეს ყოფილა ამ ორი ქვეყნის კავშირი ისე ძლიერი, როგორც მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. ეს ორი ადამიანი რომ არა, კომუნიზმი კიდევ დიდხანს იარსებებდა და ვინ იცის, რა პირობებში მოუწევდა

სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობას ცხოვრება, საბოლოოდ, სადამდე მივიდოდა მათი მდგომარეობა.

გადადგომის შემდეგ მარგარეტ ტეტჩერმა დაწერა წიგნი „დაუნინგ-სტრიტზე გატარებული წლები“, რომელშიც მკითხველს გააცნო საკუთარ მდიდარი პოლიტიკური გამოცდილება.

მარგარეტ ტეტჩერი 2013 წლის 8 აპრილს, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად, 17 აპრილს გრანდიოზული ცერემონია მოეწყო, რომელზეც თვით დედოფალი ელისაბედ II ჭირისუფლობდა გარდაცვლილ პოლიტიკოსს. სამგლოვიარო ცერემონიას ათობით ათასი ადამიანი დაესწრო, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნიდან სპეციალურად ჩამოსული მნიშვნელოვანი პირები. ამ ცერემონიის პარალელურად, ასობით დემონსტრანტი ტეტჩერის გარდაცვალების აღსანიშნად შეიკრიბა. მათ შორის, ძირითადად, იყვნენ მემარცხენეები, რომლებიც ტეტჩერის მიერ გატარებულ მემარჯვენე პოლიტიკას მწვავედ აკრიტიკებდნენ. პროტესტანტების განწყობას ამძაფრებდა პრემიერის დაკრძალვისთვის დახარჯული გრანდიოზული თანხაც.

მარგარეტმა მსოფლიო ისტორიაში წარუშლელი სახელი დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ერთადერთი და განუმეორებელი. პოლიტიკურად აქტიური ბევრი ქალი ახსოვს ისტორიას. თუმცა, არცერთი ყოფილა ისეთი ძლიერი და პოპულარული, როგორც მარგარეტი. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა პოლიტიკური განათლება, ის ქვეყნის შესანიშნავი მმართველი და უბადლო ლიდერი აღმოჩნდა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შინაგანად უნდა მოსდევდეს და ასეთად, უბრალოდ, უნდა დაიბადო. ნამდვილი ლიდერი მაშინ

ხარ, როდესაც ხალხს სიმართლეს ეტყვი იმ შემთხვევაშიც, თუ ეს სიმართლე არ მოეწონებათ და გაანაწყენებთ. ბევრი ხელისუფალი მარტივ გზას ირჩევს. ისინი ორიენტირებულნი არიან ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებასა და ისეთი რეფორმების გატარებაზე, რითიც ბრბოს ასიამოვნებენ, მასის კეთილგანწყობას მარტივად მოიპოვებენ. ეს არ ახასიათებდა ტეტჩერს, მისი კრედო იყო: „სიძნელეების გარეშე ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ“. იგი ირჩევდა გრანდიოზულად რთულ გზას, რომელსაც შედეგიც შესაბამისი, მასშტაბური მოჰქონდა. მარგარეტმა პოლიტიკაში აკეთა ის, რაც უკეთეს შედეგს მოუტანდა ქვეყანას ხანგრძლივი ვადით და მიზანსაც მიაღწია. თანამედროვეებს გვაქვს ამის მტკიცებულებაც და თქმის უფლებაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადარეიშვილი მაია (2020), მედიაწისქვილი: პოლიტიკური კომუნიკაცია, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 46
2. Burns, Gordon (27 January 1978), Margaret Thatcher, TV Interview for Granada TV programme “World in Action” [margaretthatcher.org/document/103485]
3. Thoburn, Ethan (3 April 2020), Airey Neave: The Man Who Helped Make Margaret Thatcher, The Bruges Group.
4. Kelly, Stephen (28 March 2019), The life and death of British spy turned politician Airey Neave, Ireland’s National Public Service Media Raidió Teilifís Éireann [rte.ie].
5. General election victory remarks (1979), Margaret Thatcher (Conservative), Speech Archive [britishpoliticalspeech.org/speech-archive.htm?speech=220], “And it's passionately interesting for me that

the things that I learned in a small town, in very modest home, are just the things that I believe have won the Election".

6. ბადრიძე გიორგი (2017), მარგარეტ ტეტჩერი: რკინის ლედი, ჟურნალი „ჩემი სამყარო", N17, გვ. 42-49 [gfsis.org].
7. მარგარეტ ტეტჩერის ვიზიტი თბილისში 1987 წელს (8 აპრილი, 2013), [palitravideo.ge/skhvadaskhva/29595-margaret-tetcheris-viziti-thbilisshi-1987-tsels.html].
8. ფიფია ბესიკ (14 ოქტომბერი, 2015), „დიდი ადამიანები საქართველოში": მარგარეტ ტეტჩერი, [sputnik-georgia.com].
9. ფიფია ბესიკ (14 ოქტომბერი, 2015), „დიდი ადამიანები საქართველოში": მარგარეტ ტეტჩერი, [sputnik-georgia.com].
10. ტეტჩერის რევოლუცია (1 აგვისტო, 2010), „ტაბულა" [tabula.ge/ge/news/540647-tetcheris-revolutsia].
11. ტუხიაშვილი ემა (24 მარტი, 2010), ქალები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს, გაზეთი „კვირის პალიტრა".
12. Thatcher, Margaret (2012), The Downing Street Years, International Edition, HarperCollins Publishers.
13. Ex-Prime Minister Baroness Thatcher dies, aged 87 (8 April 2013), BBC.
14. მარგარეტ ტეტჩერის 90 საუკეთესო ციტატა [ka.warbletoncouncil.org/frases-margaret-thatcher-15207].
15. „რკინის ლედი" მარგარეტ ტეტჩერი გარდაიცვალა (8 აპრილი, 2018), საქართველოს ახალი ამბების სააგენტო (GHN) [ghn.ge].
16. ჩხენკელი ანასტასია (8 აპრილი, 2020), „რკინის ლედი" თუ „კუდიანი" — 7 წლის წინ მარგარეტ ტეტჩერი გარდაიცვალა, „თორმეტი" [tormeti.com].
17. „რკინის ლედი" — მარგარეტ ტეტჩერი (8 ივლისი, 2015), საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი For.ge [for.ge]
18. მარგარეტ ტეტჩერი — „რკინის ლედი", გამორჩეული ქალები [sites.google.com/site/gamorcheuliqalebi/bosu].

ნუცა ნუცუბიძე
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **დიანა ტყებუჩავა**

გენერალ გიორგი კვინიტაძის „დაბრუნება“

არსებობენ ადამიანები, რომლებიც გარდაცვალების შემდეგაც რჩებიან ერის ხსოვნაში და ინარჩუნებენ იმ სიყვარულს, რაც სიცოცხლეში გასცეს. მათ შორისაა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე.

26 მაისი, ყოველი ქართველისათვის ღირსახსოვარი და ძვირფასი დღე, წელს განსაკუთრებით ამაღელვებელი გახადა რუსული ოკუპაციის მეასე წლისთავზე მიღებულმა სამთავრობო გადაწყვეტილებამ: გენერალი კვინიტაძე, რომლის ოცნებაც დამოუკიდებელი საქართველო ხილვა იყო, პარიზში გარდაცვალებიდან 51 წლის შემდეგ სამშობლოში გადმოესვენებინათ, რომ მრავალბრძოლაგამოვლილ გენერალს სამუდამო განსასვენებელი ქართულ მიწაზე, მთაწმინდის პანთეონში დაემკვიდრებინა.

როდესაც ამ ტექსტს ვწერდი, მთაწმინდის პანთეონში ვიმყოფებოდი იმით უზომოდ ამაყი, რომ შემეძლო, პატივი მიმეგო ისეთი დიდებული ქართველის ხსოვნისადმი, როგორიც გენერალი კვინიტაძე იყო. ეს ადამიანი ხომ იმის მაგალითია, თუ როგორი წრფელი გულით შეიძლება უყვარდეს ადამიანს თავისი ქვეყანა, რომ მუდამ მზად იყოს მის გამო თავი გასწიროს.

საქართველოს მომავალი ეროვნული გმირი, გიორგი კვინიტაძე 1874 წლის 21 აგვისტოს (ახალი სტილით, 2 სექტემბერს) დაიბადა დაღესტანში, პოლკოვნიკ ივანე კვინიტაძის ოჯახში. მისი ბაბუაც და მამაც სამხედროები იყვნენ. ამიტომ გიორგის მომავალი კარიერა პატარაობაშივე განისაზღვრა. მან სამხედრო განათლება თბილისსა და პეტერბურგში მიიღო. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნამდე, 1917 წლის მეორე ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესში. გიორგი კვინიტაძემ უდიდესი წვლილი შეიტანა 1919 წელს ქართული სამხედრო სკოლის დაარსებაში. იგი თავად იყო ამ სამხედრო სასწავლებლის პირველი ხელმძღვანელი.

გენერალი კვინიტაძე უაღრესად განათლებული პროფესიონალი იყო. სამხედრო საქმის თეორიულ ცოდნასთან ერთად, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასაც ფლობდა, როგორც მეომარი. 1918-1921 წლებში იგი უშუალოდ მონაწილეობდა სხვადასხვა ფრონტზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. რუსეთ-საქართველოს შორის 1921 წლის ომის დროს, 16 თებერვალს იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი შეიარაღებული ძალების მნიშვნელობის თაობაზე წერდა: „არმია თავისი ხალხის თვისებების ანარეკლია, რადგან პირმშოა ამ ხალხისა, მისი სისხლი და ხორცი. არმია სარკესავით აირეკლავს თავისი ხალხის ყველა კეთილ და მანკიერ თვისებას, მისი ძლიერებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარისხი შეესაბამება ხალხის შინაგანი ძლიერებისა და განვითარების ხარისხს“.

გენერალი ხშირად იყო უკმაყოფილო საქართველოს სამხედრო უწყებაში მიმდინარე მოვლენებით, უწესრიგობითა და არაკეთილსინდისიერი ადამიანების დაუმსახურებლად დაწინაურებით. სწორედ ამიტომ, პროტესტის ნიშნად, არაერთხელ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. თუმცა, ყოველ კრიტიკულ მომენტში, როდესაც ქვეყანასა და ქართულ ჯარს უჭირდა, კვლავ წინა ხაზზე ბრუნდებოდა და ერთგულად, თავდაუზოგავად სარდლობდა. ამაღელვებელი და ყოველი წაკითხვისას ჟრუანტელისმომგვრელია მისი სიტყვები: „სამსახურზე უარი არასდროს მითქვამს, რაოდენ რთულიც უნდა ყოფილიყო მდგომარეობა. დავხმარებოდი სათაყვანებელი სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს, იყო და არის ჩემი უწმინდესი მოვალეობა“.

ქართული არმიის შექმნის პარალელურად, გენერალი კვინიტაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებული სამხედრო მოხელეების მომზადებას. გიორგი კვინიტაძეს სურდა, რომ ქართველ მხედრებს გამოეყენებინათ მთელი თავიანთი რესურსი და სამხედრო მეცნიერებას დაუფლებოდნენ სათანადო დონეზე. იგი ამბობდა: თუ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, აუცილებლად ვიპოვით გზას, როგორ მოვახერხოთ ესო. მან ჩამოაყალიბა იუნკერთა სასწავლებელი, რომელიც ზუსტად იმ მაღალი რანგის ოფიცრების აღზრდას ისახავდა მიზნად, შემდგომ სათავეში რომ ჩაუდგებოდნენ ქართულ არმიას. სწორედ ეს იუნკერები იბრძოდნენ თავგანწირვით თბილისის მისადგომებთან — კოჯორსა და ტაბახმელაში, რუსული მე-11 არმიის ბოლშევიკების წინააღმდეგ.

გენერალმა კვინიტაძემ ბოლშევიკების მეთაურობით დაგეგმილ-განხორციელებული არაერთი

ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება და ამბოხი ჩაახშო, რითაც გაახანგრძლივა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა. თავისი საქმის უბადლო მცოდნე და პროფესიონალი, უსაზღვო პასუხიმგებლობას გრძნობდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გენერალი კვინიტაძე რომ ქართველი ხალხის ეროვნულ ცნობიერებაში სამშობლოსათვის მებრძოლი გმირის სტერეოტიპადაა ქცეული, გავრცელებული ხალხური სიმღერის ეს ნაწყვეტი მოწმობს:

„კოჯრის მთაზე დაფლეთილი
თეთრი დროშა ფრიალებდა,
კვინიტაძის ზარბაზნები
სკდებოდა და გრიალებდა...“

გენერალი გიორგი კვინიტაძე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ფაქტობრივად, დასაწყისიდანვე მის ხელში იყო სამხედრო სფეროს ბედი, რაც სახელმქიფოს ძლიერებას განაპირობებდა. დამოუკიდებლობის პერიოდში გენერალი საკუთარ სამშობლოს ემსახურებოდა და არა — სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ინტერესებს. ამის გამო, არაერთხელ მოუვიდა ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

ნოე ჟორდანია მოგონებათა წიგნის „ჩემი წარსული“ ფურცლებზე იხსენებს: „როცა რუსები თავს დაგვესხნენ, მთავარსარდლად დავნიშნე გენერალი კვინიტაძე. აქტიური, სწრაფი, მოქმედი, მხოლოდ ჯიუტი და მიუკარებელი“. ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მოგონებებში მიკერძოებულად და დამახინჯებულადაა აღწერილი საქართველოს სამხედრო მოქმედებები. მთავრობის ყოფილი

თავმჯდომარე გენერალ კვინიტაძეს ადანაშაულებს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რამაც, საბოლოოდ, ქვეყნის დამარცხება გამოიწვია. უსამართლო, სრულიად უსაფუძვლო ბრალდების საპასუხოდ, გენერალმა კვინიტაძემ 1954 წელს ბროშურა „ჩემი პასუხი“ გამოსცა, რომელშიც ნოე ჟორდანიას „მოგონებებს“ ქართველი ერისა და მხედრობისთვის დამამცირებელი უწოდა და არგუმენტირებულად გააბათილა მის წინააღმდეგ ჟორდანიას მიერ წაყენებული ბრალდებები. გენერლის „პასუხი“ საკმაოდ პოპულარული გახდა და არაერთი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ ემიგრაციულ პრესაში. დღევანდელი გადმოსახედიდან, ურთულესია ცალსახად ვინმეს დამნაშავედ გამოცხადება, რადგან საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამარცხება და ქართული არმიის სამხედრო წარუმატებლობა მრავალმა, მათ შორის, პოლიტიკურმა, ფაქტორმა განაპირობა.

ვფიქრობ, გიორგი კვინიტაძის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე პერიოდი ემიგრაციაში წასვლის მომენტი იქნებოდა. რთულია, მიატოვო შენი ქვეყანა და სრულიად უცხო მიწაზე დაემკვიდრო, უცხო ხალხის გვერდით, უცხო ცხოვრების სტილს შეეგუო. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთარი ქვეყნის პატრიოტი და მისთვის მუხლჩაუხრელად მებრძოლი გიორგი კვინიტაძე ხარ.

გენერლის შვილიშვილის, მსახიობ მარიამ დ’აბოს მოგონებით, ბაბუამისს უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა. ეს არცაა გასაკვირი ეროვნული გმირისგან, რომელიც თავდაუზოგავად, უკანასკნელ წუთამდე ზრუნავდა სამშობლოზე და ბოლომდე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. გიორგი კვინიტაძეს თავის მემუარებში

აქვს აღწერილი 1917-1921 წლების პოლიტიკური ამბები. მისი შვილიშვილი მარიამი ასევე იხსენებს, რომ გენერალი ძალიან განიცდიდა საბჭოთა მმართველობის დამყარებას დემოკრატიულ საქართველოში. მართალია, ვერ აუხდა საუნკვარი ოცნება, ვერ დაბრუნდა სანატრელ, დამოუკიდებელ საქართველოში და ვერ იხილა დამპყრობლის მმართველობის დამხობა. თუმცა, 2021 წლის 26 მაისს გენერალი კვინიტაძე და მისი მეუღლე ქართულ მიწას ერთად „დაუბრუნდნენ“. უკვე მთელი საუკუნეა, რაც გიორგი კვინიტაძე საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია და მუდამ იქნება.

ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, მთელი დარჩენილი ცხოვრება გიორგი კვინიტაძემ საფრანტეთში გაატარა. გმირ გენერალს ფინანსურად უკიდურესად უჭირდა, მაგრამ არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა ოჯახის შესანახად. ერთი პერიოდი, საკუთარი სახლის სარდაფში დამზადებული მაწვნის გაყიდვით ირჩენდა თავს. თუმცა, მისი ღარიბული სახლის კარი მუდამ ღია იყო სტუმრისათვის. არც თანამოძმის დახმარებაზე უთქვამს ოდესმე უარი. გიორგი კვინიტაძე 1970 წლის 7 აგვისტოს, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურის იმუამინდელმა დირექტორმა კარლო ინასარიძემ 1968 წელს, გენერლის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, ინტერვიუ ჩაწერა გიორგი კვინიტაძესთან. ამის შედეგად, არა მხოლოდ გმირი გენერლიხ მოგონებები და ნააზრეევი, არამედ მისი ხმაც შემოგვრჩა XXI საუკუნეში. ჟურნალისტი საუბრის დაწყებას ცხოვრების მთავარი მომენტების გახსენებით სთხოვს რესპონდენტს. ქართველი გენერალი თავის ახალგაზრდობასა და 1918 წლის 26 მაისს იხსენებს, დღეს, როცა საქართველოს

დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეესწრო. როგორც ჩანს, სწორედ ეს ორი მომენტი მიაჩნდა გმირ გენერალს გამორჩეულად.

გიორგი კვინიტაძის ბავშვობაში, მის ოჯახს ერთი გვარიშვილი სტუმრობდა ხოლმე და გიტარის თანხლებით ამ ლოცვას მღეროდა:

„ღმერთო, საწყალი გლეხის შვილი ვარ,
სოფლად დავდივარ ობოლი,
ბედისგან განწირული.
ღმერთო, მიეცი ჩვენ ქვეყანას
ბედი და ბედნიერება.
ღმერთო, მიეცი ჩვენ ქართველებს
სწავლა და მეცნიერება.
ღმერთო, ჩაუდე მათ გულში
ძმობა და სიყვარული,
რომ გაუწიონ ერთმანეთს
ერთგული სამსახური“.

ქართველი ადამიანი, თუ ქვეყანა უყვარს, ყველა დროში სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა ლოცულობდეს...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვინიტაძე გიორგი (2014), ჩემი მოგონებები: 1917-1921, თბილისი [vangogen.com.ge/2017/02/1917-1921_20.html]
2. კვინიტაძე გიორგი (1990), ჩემი პასუხი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
3. გიორგი კვინიტაძე: საქართველოს რესპუბლიკის მხედართმთავარი, გენერალი (1874-1970) [26may.ge/ka/giorgikvinitadze]

4. გიორგი კვინიტაძე, საქართველოს სამხედრო ისტორია (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მედიაპროექტი), გვ. 37 [history.mod.gov.ge/ge/page/37/giorgi-kvinitadze]
5. გიორგი კვინიტაძე, ქართველები უცხოეთში [nplg.gov.ge/emigrants/ka/00000367]
6. გიორგი კვინიტაძე, საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი [nplg.gov.ge/bios/ka/00001496]
7. გენერალი გიორგი კვინიტაძე მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს (26 მაისი, 2021), რადიო „თავისუფლება“ [radiotavisupleba.ge/a/31274630.html]
8. გენერალი გიორგი კვინიტაძე თბილისში დაკრძალეს (26 მაისი, 2021), გაეროს ასოციაციის ქართული პროექტი [civil.ge/ka/archives/422853]
9. 16 თებერვალი, 1921 წელი: გიორგი კვინიტაძე მთავარსარდლად დაინიშნა (18 თებერვალი, 2021), გაეროს ასოციაციის ქართული პროექტი [civil.ge/ka/archives/397869]
10. ინასარიძე კარლო (მაისი, 1968), ინტერვიუ გიორგი კვინიტაძესთან: „ქართველი ხალხი თავისი ჩვეულებებით არის ევროპელი და არა აზიური“, რადიო „თავისუფლება“ [youtube.com/watch?v=1Koh_U5O6Uc]
11. ჟორდანია ნოე (1990), ჩემი წარსული: მოგონებანი, თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“.
12. სიმონიშვილი გიორგი (6 მაისი, 2020), გენერალი გიორგი კვინიტაძე, ჟურნ. „იბერია“ [iberiamagazine.com/gen-giorgi-kvinitadze]

ლიზი ჩიმჩიური
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. **დიანა ტყეებუჩავა**

ენობრივი თამაშები „ვეფხისტყაოსანში“

შესავალი

რატომ მაინცდამაინც ენობრივი თამაშის ტიპების კვლევა?

როგორც ლუდვიგ ვიტგენშტეინმა თქვა: „ენასთან დაკავშირებული მოღვაწეობის ნებისმიერი სახე თამაშია“ [1]. ეს იმას ნიშნავს, რომ თამაში ყველგანაა, სადაც ღირებული ტექსტია. ეს ის ფენომენია, რომლისადმი ინტერესიც ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში გაჩნდა.

მომავალი ჟურნალისტები აუცილებლად უნდა ფლობდნენ ენობრივი თამაშების ხელოვნებას, რათა თანამედროვე მედიაშემოქმედება არ იყოს მოსაწყენი და ერთფეროვანი. შინაარსის პარალელურად, მეტყველების ფორმასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ „ელიტარულ პროფესიაში“, როგორც ჟურნალისტიკას უწოდებს არაერთი მედიათეორეტიკოსი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ საკითხის კვლევა ეროვნულ საგანძურთან, „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში.

როგორც ცნობილია, ენობრივი თამაში ყველგანაა, ყველა დროსა და სივრცეში, სადაც ტექსტია. მას უამრავი ფუნქცია აკისრია. მათ შორისაა ესთეტიკური ფუნქცია, რაც მდგომარეობს ავტორის გააზრებულ მისწრაფებაში, თავადაც განიცადოს და

მკითხველსაც განაცდევინოს მშვენიერების შეგრძნება, სიტყვის, ფრაზის საშუალებით, მისი ფორმით.

ასევე გამოვარჩევდი ჰედონისტურს ფუნქციას, რომლის არსიც მკითხველისათვის ტკბობის მინიჭებაა მეტყველების უჩვეულო ფორმით.

საინტერესოა პრაგმატული ფუნქცია, რომელიც გულისხმობს მეტყველების ორიგინალურ ფორმათა ჩამოყალიბებას.

გამომსახველობით ფუნქცია სახეობრივი, ანუ უფრო დახვეწილი ფორმით აზრის გადმოცემას ემსახურება. ზოგადად, ენობრივი თამაშის მრავალფუნქციურობა და მისი ორიენტირებულობა გარკვეული ეფექტის მიღწევაზე, განაპირობებს ენობრივი თამაშის ფართოდ გამოყენებას ხელოვნების სხვადასხვა დარგში. „ვეფხისტყაოსანში“ ყველა ჩამოთვლილი ფუნქცია გვხვდება. ცხადია, უაღრესად საამაყოა, რომ XII საუკუნის ქართული პოემა ენობრივი თამაშის ამდენ ფუნქციას მოიცავს. „ვეფხისტყაოსანში“ ენობრივი თამაშების სიუხვის დემონსტრირებისათვის, განვიხილე შესაბამისი ნიმუშების ნაწილი.

ენობრივი თამაშები

შოთა რუსთაველის პოემაში ენობრივი თამაშები მხოლოდ მის გასამრავალფეროვნებლად კი არ არის, არამედ იმისთვის, რომ მკითხველმა ემოციურად გაიაზროს ის, რაზეც ავტორი საუბრობს. უფრო მეტად შთამბეჭდავი, ამაღელვებელი და დამაფიქრებელი გახადოს თხრობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველ ქართულსა და ახალ ქართულ ენას შორის.

შესაბამისად, მასში მოიპოვება როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები. როგორც [2] აღნიშნავენ, რუსთველის ენა იმდენადაა დაახლოებული ხალხის მეტყველებასთან, რომ იგი მარტივად გასაგებია და სპეციალურ განმარტებას არ საჭიროებს. ეს თვისება დღემდე, XXI საუკუნეშიც, ფაქტობრივად, შენარჩუნებული აქვს პოემის ენას. თუმცა, არის იშვიათი გამონაკლისებიც, როდესაც ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების შინაარსი დაუდგენელია და მათ შესახებ რუსთველოლოგები საკუთარ განმარტებებსა თუ ვარაუდებს გვთავაზობენ. საინტერესოა შოთა რუსთაველის თექვსმეტმარცვლიანი ტაეპები, რომელთა საშუალებითაც, პოემა მართლაც რომ უნიკალურია. ავტორი ხშირად იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა მეტაფორა, შედარება, გამეორება, ალიტერაცია და სხვა. ასევე, რუსთაველის ენისათვის დამახასიათებელია აფორიზმების სიმრავლეც.

მეტაფორა

„ვეფხისტყაოსანში“ მეტაფორები იმდენად უხვადაა, რომ პოემის მხატვრული ენის სტილად ხშირად სწორედ მეტაფორულობას თვლიან. აზრის გამოხატვის მეტაფორული ხერხი „ვეფხისტყაოსანში“ უმთავრესი მხატვრული საშუალებაა. ზოგადად კი, მეტაფორა მხატვრული გამოსახვის სტილისტური ხერხია. იგი პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს, ასოციაციებითა თუ კონტრასტით, ანალოგიებით წარმოსადგენს ემყარება ან აგებულია სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე. რუსთაველის ზოგიერთი მეტაფორული სახე, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება პოემაში, სხვადასხვა კონტექსტში

განსხვავებული მნიშვნელობითაა გამოყენებული. ასეთებია: ვარდი და მარგალიტი, მაგალითად, შემდეგ ტაეპში:

„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა,
გულსა მდუღრად ანატირსა“. (86)

პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაიაზროს მკითხველმა სიტყვა „ვარდი“. აქ იგულისხმება არა ყვავილი, არამედ პერსონაჟის ეშხიანი, ლამაზი პირისახე, რომელიც ცრემლებმა დაფარეს. „ვარდი“ იმავეს აღნიშნავს ამ ნაწყვეტშიც:

„მუნ ვარდსა შუა შვენოდეს
ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი“. (486)

მარგალიტი აქ სამკაულს კი არ აღნიშნავს, არამედ — კბილებს. შესაბაისად, რუსთველისეული მეტაფორა ასე უნდა გავიაზროთ: მის მომხიბლავ სახეს წითელი ბაგეები და შეტყუპებული კბილები ამშვენებდა.

პოემის სხვა ნაწყვეტში „ვარდი“ სიცოცხლეს აღნიშნავს: „ვარდი ჩემი არ დაჭნების“ (139) ანუ — ჩემი სიცოცხლე არ წახდება, არ დავიღუპები.

ასევე საინტერესო მეტაფორული სახეა „წიგნი“. პოემის მთლიან ტექსტში ის ხშირად გვხვდება და ყველგან „წერილს“ აღნიშნავს. მაგალითად: „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი“; ასევე:

„წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდეს,
ვინცა იყოს ჩემი ხასი“. (169)

მკვლევართა აზრით, [2] რუსთაველის მეტაფორა ხელს უწყობს აზრის სწორად, ზუსტად, სახეობრივად, ექსპრესიულად ჩამოყალიბებას.

ეპითეტი

„ვეფხისტყაოსანში“ უხვადაა ეპითეტებიც, ანუ საგნის ან მოვლენის ხატოვანი განსაზღვრებები და ავტორის მიერ პერსონაჟის ექსპრესიული დახასიათება. მაგალითად, თითქმის მთლიანად ეპითეტებითაა აგებული პოემის ძირითადი ნაწილის პირველი სტროფი, რომელშიც არაბეთის მეფეზეა საუბარი:

„იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი,
ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე,
მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო,
კვლა მოუბარი წყლიანი“. (33)

პერსონაჟების აღწერისას ხშირად გამოყენებულია შემდეგი ეპითეტები: გულ-მდუღარე, მწყრომელი, გაფიცხებული, ცრემლ-დასხმული, მიუწვდომელი, ტკბილნი, მკრთალი და სხვა. მაგალითად:

„მუნით ქალი გამოიჭრა
გულ-მდუღარე, ცრემლ-დასხმული“. (235)

ანუ — იქიდან დარდიანი, ანერვიულებული და ატირებული ქალი გამოვიდა.

„ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგნით
სიკეთე-მიუწვდომელი“. (606)

აქაც შესანიშნავი ეპითეტია გამოყენებული — „მიუწვდომელი“, ანუ ერთ-ერთ პერსონაჟს სიტყვით აღუწერელი სიკეთე, ღირსება გააჩნია.

„მართ ვითა ქარი მოქროდა

გაფიცხებული, მწყრომელი“. (600)

აქ, ეპითეტებთან ერთად, შედარებაცაა გამოყენებული. ეს ტაეპი შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: აღელვებული, გამწყრალი ცხენოსანი ქარივით მოქროდა.

შედარება

პოემაში ბევრია მხატვრული შედარებაც. ხშირია ორიგინალური, ცოცხალი, რეალისტური შედარებები, რომლებშიც აღბეჭდილია ეროვნული, უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრება. ზოგიერთი შედარება გამოირჩევა ექსპრესიულობით. აღსანიშნავია, რომ რუსთაველის მხატვრულ შედარებებს ხშირად ჰიპერბოლური ხასიათი აქვს, თუმცა, „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი ჰიპერბოლური შედარების საფუძველი სინამდვილეა და იგი არასოდეს ავლენს ფანტასტიკურ ბუნებას.

ზოგადად, შედარება ტროპის ფორმაა, რომელიც რაიმე ნიშნის მიხედვით ერთ საგანს ან მოვლენას ადარებს მეორეს, რითაც აძლიერებს პირველი საგნის ან მოვლენის მხატვრულ მნიშვნელობას. ჰიპერბოლური შედარება კი გაზვიადებული შედარებაა, მაგალითად, როგორიცაა შემდეგი ნიმუში:

„მან განანათლნეს ყოველნი,
ვით მზემან მანათობელმან“. (44)

აქ საუბარია თინათინზე, რომელიც ისე გაანათებს (გააკარგებს) ყველაფერს, როგორც მზე ანათებს ყოველივეს ამქვეყნად.

ასევე, პოემის დასახასითებლად საუკეთესო ეპითეტი და შედარება აქვს გამოყენებული თვით შოთა რუსთაველს:

„ესე ამბავი სპარსული,
ქართულად ნათარგმანები,

ვითთ მარგალიტი ობოლი,
ხელის-ხელ საგოგმანები“. (8)

შემდეგ ტაეპში ავტორი ისეთ შედარებით კონსტრუქციას იყენებს, რომელიც შეიცავს სიტყვას „მსგავსი“:

„ათი ათასი ნობათი
უსულო, მსგავსი მტვერისა“. (1426)

ანუ — ათი ათასი უსულო გუშაგი მტვერს ჰგავდაო.

„მას ყმასა თავი არ მისცა,
ჭვრეტადცა ებილწებოდა,
ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე,
მი და მო ძრწებოდა“. (237)

ამ შემთვევაში გამოყენებულია ყველასათვის ცნობილი შედარებითი ფორმის აღმნიშვნელი „ვითა“.

„მე პასუხი ვერა გავეც,
ვითა შმაგი, შევვკრთი დია“. (356)

აქაც წინა ტაეპის მსგავსი შედარებითი ფორმა აქვს გამოყენებული შოთა რუსთაველს და ის ასე უნდა გავიაზროთ: „პასუხი ვერ გავეცი ისევე, როგორც უგუნურმა...“ ანუ პერსონაჟი საკუთარ თავს უგუნ ადამიანს ადარებს იმ მომენტში, როდესაც პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

ეპიკური გამეორებები

ეპიკური გამეორებები „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვაგვარია. გვხვდება როგორც მოტივურ-აზრობრივი, ისე, სიტყვიერ-ფრაზეოლოგიური გამეორებებიც. მოტივურ-აზრობრივი გამეორების შემთხვევაში, ზოგჯერ რომელიმე სტროფის შინაარსი სხვა სტროფშიცაა გადმოცემული, ხოლო

სიტყვიერ-ფრაზეოლოგიურის დროს სიტყვების გამეორებაა, მაგალითად:

„შორით ბნედა, შორით კდომა,
შორით დაგვა, შორით ალვა“. (28)

ნიკო მარს ეპიკური სიტყვიერ-ფრაზეოლოგიური გამეორებები შოთა რუსთაველის ერთ-ერთ უსაყვარლეს მხატვრულ ხერხად მიაჩნდა. [3] ამგვარი ლექსიკური გამეორებები ვეფხისტყაოსანში ათეულობითაა. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ შემდეგი ტაეპი:

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა,
დარი არ დარობს დარულად“. (830)

პავლე ინგოროყვა აცხადებს, რომ ამგვარ სპეციფიკურ გამეორებას შეიძლება ეწოდოს „ვერბალური ალიტერაცია“ და რომ მსგავსი ხერხის გამოყენება იშვიათად მოიძებნება მსოფლიო პოეზიაში. [4]

ალიტერაცია და ასონანსი

სალექსო სტრიქონებში ერთი და იმავე თანხმოვანი ბგერების გამეორებას ალიტერაცია ეწოდება. იგი გამოსახვის პოეტური ხერხი, ემოციური ზეგავლენის საშუალება და ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმაა. ასონანსი ხმოვნების გამეორებას ეწოდება. „ვეფხისტყაოსნისათვის“ ბგერული გამეორების ორივე სახეა დამახასიათებელი, ასონანსიცა და ალიტერაციაც, თუმცა, უფრო ხშირია ალიტერაცია. მოცემულ ტაეპში გამოყენებულია როგორც ალიტერაცია, ისე ასონანსიც:

„კარვის კალთა ჩახლართული
ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“. (564)

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს „კ“ და „ჩ“ ბგერების გამეორებას, რაც ტექსტს ამრავალფეროვნებს და კითხვის პროცესი არაა მონოტონური. ასონანსის შემთხვევაში, უფრო ხშირად გვხვდება „ა“ ხმოვნის გამეორება, მაგალითად:

„დავეცი, დავბნდი, წამიხდა,
ძალი მხართა და მკლავისა“. (354)

უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველი ზოგან ჭარბად იყენებს ალიტერაციას, ზოგან კი ნაკლებად. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი ტაეპები:

„ზეგარდმო არსნი სულითა
ყვნა, ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა“. (1)

პირველ ტაეპში ალიტერაცია სულ ორი ბგერის გამორებით გვხვდება, მეორეში კი „ვ“ ბგერა შვიდჯერ გვხვდება და კარგად ჩანს, არც თუ ისე შორ ტაეპებში, თუ როგორი ცვლილებები შეიძლება ვიპოვოთ.

მეტად საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი „ვეფხისტყაოსანში“. იშვიათად თუ იყენებს შოთა რუსთაველი რაიმე რიცხვს ისე, რომ მომდევნო სიტყვას არ დაუკავშიროს ალიტერაციის საშუალებით. როგორც კონსტანტინე ჭიჭინაძემ თქვა: „რუსთაველი ხან რიცხვს არჩევს სიტყვების მიხედვით, ხან სიტყვებს ათანხმებს რიცხვებთან“. [5] ამის ეფექტური ნიმუშებია:

1. „მაგრამ ავთანდილს <u>ოცითა</u> უფროსი დაუხ<u>ოცი</u>ა“ — აქ შოთა რუსთაველმა შეარჩია სიტყვა „დაუხოცია“ და მას შეუსაბამა რიცხვი ოცი;
2. „ესეა ზღვა<u>თ</u>ა <u>სა</u>მეფო <u>თ</u>ვი<u>ს</u>ა ა<u>თ</u>ი<u>ს</u>ა <u>ს</u>ავლი<u>ს</u>ა“ — აქ ადგილი აქვს „ს“ და „თ“ ბგერების ალიტერაციას, რომლის

საშუალებით ავტორი სათქმელს — ზღვათა სამეფომდე ათი თვის სავალას — უფრო ჟღერადოვნად გადმოსცემს.

ანაფორა

ენობრივი თამაშებიდან გამოვარჩევდი ანაფორას. პოეზიის თეორიაში ანაფორა ეწოდება ერთი და იმავე სიტყვის ან დამსგავსებული ბგერების გამეორებას ტაეპებს შორის. ის საკმაოდ იშვიათია „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა, მისი რამდენიმე ნიმუში უდავოდ წარმოაჩენს, თუ რაოდენ ძვირფასი მხატვრული საშუალებაა ანაფორა. მაგალითად, შემდეგი ტაეპები:

„შენ არ იცი ხვარაზმშასი
საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ,
შენი რთულა ამას ნება;
შენ გასტეხე ფიცი ჩემი,
სიმტკიცე და იგი მცნება“. (531)

ამ შემთხვევაში გვაქვს გამეორება „შენ“, რომელიც სამ ტაეპში ზედიზედ გვხვდება და ტექსტს შთამბეჭდაობას სძენს.

კიდევ უფრო ეფექტურია ანაფორის, როგორც მხატვრული ხერხის, გამოყენებით გადმოცემული ავთანდილის სათქმელი, როდესაც იგი უფალზე საუბრობს:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა
მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი,
შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს,
ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“. (800)

ამგვარი ანაფორის ნიმუშით ავთანდილის მიერ როსტევანისადმი მიწერილი ანდერძის ტექსტი გაცილებით დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ანაფორაა გამოყენებული შემდეგ ტაეპებშიც, სადაც სიტყვა „გული“ მეორდება:

„<u>გული</u> კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძღომელი,
<u>გული</u> — ჟამ-ჟამად ყოველთა
ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,
<u>გული</u> — ბრმა, ურჩი ხედვისა,
თვით ვერას ვერ გამზომელი“. (723)

ანაფორის გარდა ამ ტაეპებში გვხვდება გაპიროვნებაც, რადგან უშუალოდ გული, როგორც ორგანიზმის ერთ-ერთი ორგანო, ხომ ვერ იქნება ხარბი, გაუმაძღარი, ბრმა ანდა ურჩი?! ეს ყველა თვისება ადამიანისაა. განმარტების მიხედვით, გაპიროვნება მეტაფორის ერთ-ერთი სახეა, რომლის დროსაც ცხოველებზე, უსულო საგნებსა და მოვლენებზე გადატანილია ადამიანის თვისებები. სხვათა შორის, გაპიროვნება ერთ-ერთი უძველესი ენობრივი თამაშია, რომელიც უხვად გამოიყენება როგორც ქართულ, ისე დანარჩენი მსოლფიოს მითოლოგიასა და ფოლკლორში.

აფორიზმები

„ვეფხისტყაოსანი“ ისე მდიდარია აფორიზმებით, რომ ნებისმიერ ქართველს აფორიზმთან დაკავშირებით სწორედ ამ პოემიდან ახსენდება ნიმუშები. რუსთველოლოგ ალექსანდრე ბარამიძის აზრით, შოთას, როგორც აფორიზმებით მოაზროვნე

პოეტს, მსოფლიო ლიტერატურაში ტოლი არ ჰყავს. რუსთაველი აფორიზმების საშუალებით მოკლედ, სხარტად გადმოსცემს ბრძნულ აზრებს.

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები ლაკონიურია, ჩვეულებ-რივ, ერთი სტროფის ფარგლებში მოქცეული. სტროფის პირველ სამ ტაეპში პოეტი ავითარებს საჭირო მოსაზრებას, თვალსაზრისს, რასაც მეოთხე ტაეპის სახით მოსდევს უფრო ზოგადი აზრის შემცველი, დასკვნითი აფორიზმი. ხშირად აფორიზმული ხასიათისაა წინა სამი ტაეპიც, შესაბამისად, მთელი სტროფი აფორიზმია. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის უკანასკნელ, მეოთხე ტაეპს აქვს. რუსთაველის აფორიზმები შთამაგონებელ-აღმზრდელობითი ხასიათისაა. მათ შორისაა:

1. „არ-დავიწყება მოყვრისა არროდეს გვიზამს ზიანსა“ (806) — ეს აფორიზმი გვეუბნება, რომ მეგობრობა ძალზე მნიშვნელოვანი ცნებაა. ნამდვილი მეგობარი ყველას სჭირდება და ამიტომ, მეგობარობა როგორც ლხინში, ასევე გასაჭირშიც უნდა გვახსოვდეს.
2. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ (1370) — ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ბოროტს მუდამ სულგრძელი სიკეთე დაამარცხებს, რადგან იგი მარადიულია.
3. „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ (803) — ეს აფორიზმი გვასწავლის, რომ რაც განგებისგან გადაწყვეტილია, ის აუცილებლად მოხდება და ვერავინ შეძლებს მის შეცვლას.
4. „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“ (1054) — ფაქტობრივად, ეს ბიბლიური დებულებაა,

რადგან ღმრთისმოშიშება ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი სწავლულებაა, რომელიც თავისთავად სიყვარულს განაპირობებს. ფსალმუნში [102,13] ნათქვამია: „შეიწყნარა უფალმა მოშიშნი მისნი“. სადაც უფლის შიში (ანუ პატავისცემაა) და, ზოგადად, სადაც ის სუფევს, იქვე იბადება სიყვარული.

ამ ნიმუშთა გარდა, კიდევ უამრავი ისეთი აფორიზმია, რომელიც ნებისმიერმა ადამიანმა კარგად უნდა გაიაზროს და ცხოვრებაშიც გაითვალისწინოს.

რითმა

ენობრივი თამაშის სახეებთან ერთად ყურადღებამისაქცევია რითმა, რომელიც პოემაში გვხვდება საკმაოდ საინტერესო სახით. ყველა ტაეპი ერთმანეთს ერითმება, რაც ნამდვილად სიდიადეს სძენს პოემას. ამის ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი სტროფი:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა
მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ?
ცან, ცნობანი მიაფერენ!
„სიყვარული აღგვამაღლებს“,
ვით ეუვანნი, ამას ჟღერენ.
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი
კაცნი ვითმცა შევაჯერენ?!“. (799)

ტაეპის ბოლოს ყველა სიტყვის დაბოლოება „ერენ“ ბგერებით ერითმება ერთმანეთს, რაც მუსიკალურ ჟღერადობას სძენს თავისთავად საინტერესო აზრს და კიდევ უფრო სასიამოვნო წასაკითხს ხდის მას.

თხრობის სწრაფვასა და დინამიკურ რიტმს „ვეფხისტყაოსანში“ სხვა ორი ფაქტორი განაპირობებს: მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა, რაც ხან მოსათხრობი ამბის ტონალობის შეცვლასთანაა დაკავშირებული, ზოგჯერ კი მიზნად მხოლოდ ერთფეროვნების აცილებას ისახავს. დაბალი შაირის ნიმუშია:

„იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღვთისაგან სვიანი...“ (33)

აქ ნათლად ჩანს, რომ 2, 3, 3, 2, 3, 3 მარცვლიანი სიტყვების თანმიმდევრობა გვაქვს, რაც დაბალი შაირისთვისაა დამახასიათებელი.

როდესაც 4, 4, 4, 4 მარცვლიანი, ე.წ. მხატვრული ტერფები გვაქვს, ესაა მაღალი შაირის ნიმუში, მაგალითად:

„თვალთა, მისგან უნათლოთა,
ენატრამცა ახლად ჩენა...“ (10)

* * *

დაუსრულებლად შეიძლება „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ენობრივი თამაშების ნიმუშებზე საუბარი, მათი განხილვა და გააზრება. ეს მართლაც, რომ ის შემთხვევაა, როდესაც „ვით მარგალიტი ურიცხვი“, ერთმანეთზე შთამბეჭდავი, ეფექტური, სხვადასხვა სახის ენობრივი თამაშების რიცხვი ამოუწურავია და ემოციური, ესთეტური ტკბობის დაუშრეტელი წყარო ხდება პოემაში.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რამხელა ესთეტური სიამოვნების მოტანა შეუძლია მსგავსი ხერხების გამოყენებით შექმნილ მედიატექტს, რომლის წაკითხვისა თუ მოსმენის საშუალება ყოველდღიურობაში რომ მასობრივად დაინერგოს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ თანამედროვე ჟურნალისტები ენობრივი თამაშის ხელოვნებას, მის ტექნოლოგიას,

გამოყენებისა და კვლევის უნარს აუცილებლად უნდა ფლობდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვიტგენშტაინი ლუდვიგ იოზეფ იოჰან (1953), ფილოსოფიური კვლევები, ვენა.
2. ბარამიძე ალექსანდრე (1966), შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი.
3. მარი ნიკო (1910), „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასკვნითი სტროფები (რუსულ ენაზე).
4. ინგოროყვა პავლე (1926), „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით: რუსთაველიანა, თბილისი.
5. ინგოროყვა პავლე (1927), რუსთაველიანაზე, თბილისი.
6. ინგოროყვა პავლე (1937), რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი.
7. ინგოროყვა პავლე (1940-1941), რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, თბილისი.
8. ინგოროყვა პავლე (1937), შოთა რუსთაველი, თბილისი.
9. ინგოროყვა პავლე (1953), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, თბილისი.
10. კონსტანტინე ჭიჭინაძე (1925), ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, თბილისი.
11. ნათაძე ნოდარ (2017), ვეფხისტყაოსანი (სასკოლო გამოცემა), თბილისი.
12. დიანა ტყებუჩავა (2021), მასკომუნიკაციის შესავალი (ლექციების კურსი, ელექტრონული ვერსია).

ინტერნეტრესურსები:

13. ხლუსიძე ნათია (26 იანვარი, 2017), „არ-დავიწყება მოყვრისა არადეს გვიზამს ზიანსა“ [nxlusidzeedu.wordpress.com/2017/01/26]
14. ჭიჭინაძე კონსტანტინე (1925), ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხის ტყაოსანის“ პრობლემა“, გამომცემელი: თომა ჩიქვანაია, ტფილისი: ს. მ. უ. ს. პოლიგრაფვანყოფილების მე-3 სტამბა [openlibrary.ge/bitstream/123456789/6729/1/Alitaracia-1925.pdf]
15. ხინთიბიძე ელგუჯა (2003), ღმრთისმოშიშებისათვის ანუ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ და ვეფხისტყაოსნის მიმართებისათვის ქართულ სასულიერო მწერლობასთან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 348, გვ. 246-263.

მარიამ ბენდიანიშვილი
(გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის მასკომუნიკაციისა
და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების
I კურსის მაგისტრანტი)
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. **მაია ნადარეიშვილი**

„კოლის გოგონობიდან“ „ერის დედის“ იმიჯამდე
(ანგელა მერკელის პოლიტიკური პორტრეტი)

ანგელა მერკელი არა მხოლოდ გერმანიის პირველი ქალი კანცლერია, არამედ ის არის დემოკრატიული ქვეყნის ერთ–ერთი ყველაზე ხანგრძლივად მმართველი პოლიტიკოსი – მერკელი გერმანიის კანცლერის თანამდებობას 2005 წლიდან იკავებს.

კარიერის დასაწყისში მერკელი ძალიან დაუფასებელი პოლიტიკოსი იყო გერმანიაში – უბრალო მღვდლის ქალიშვილი უკიდურესი აღმოსავლეთ გერმანიიდან, არაფოტოგენური, ქარიზმის არმქონე, ცუდი ორატორული ნიჭით. მიუხედავად ყველაფრისა, ანგელა მერკელმა მოახერხა და 2019 წელს მეოთხე ვადითაც გახდა გერმანიის კანცლერი. რაშია მისი საიდუმლო?

მერკელი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიბადა და, პრაქტიკულად, სოციალისტურ გარემოში გაიზარდა, თუმცა, მისი მშობლები არ ყოფილან პოლიტიკოსები, ან დისიდენტები. სკოლაში ის შესანიშნავად სწავლობდა მათემატიკასა და რუსულ ენას.

ლაიფციგის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლისას ანგელა თანაკურსელ უილრიხ მერკელზე დაქორწინდა. მათი თანაცხოვრება ხანმოკლე გამოდგა და

ქორწინება მხოლოდ ფორმალურად შენარჩუნდა. გერმანიის კანცლერი არასდროს საუბრობს პირადი ცხოვრების შესახებ. ცნობილია მხოლოს ის, რომ მეორე მეუღლე იოაკიმ საუერი 1981 წელს გაიცნო, 1982 წელს პირველ ქმარს დაშორდა (თუმცა, მისი გვარი შეინარჩუნა) და 1998 წელს მეორედ დაქორწინდა. ანგელას და იოაკიმს შვილები არ ჰყავთ. გავლენიანი გერმანელი ქალი პოლიტიკოსის მთავარი გატაცება კლასიკური მუსიკაა. ის ხშირად ესწრება კლასიკური მუსიკის სხვადასხვა ფესტივალს. ასევე უყვარს მოგზაურობა და მეუღლესთან ერთად ხშირად სტუმრობს ალპებს.

პოლიტიკური კარიერა მერკელმა 35 წლის ასაკში დაიწყო. გერმანიის მაშინდელმა კანცლერმა ჰელმუტ კოლმა (1930-2017) იგი ქალებისა და ახალგაზრდების საქმეთა მინისტრად დანიშნა. მაშინ გერმანული პრესა წერდა, რომ თანამდებობა დაუმსახურებლად ერგო და ანგელას პორტფელი მხოლოდ იმიტომ ჩააბარეს, რომ ის იყო „გოგო აღმოსავლეთ გერმანიიდან“.

ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მერკელის განსაკუთრებული პოლიტიკური ალღო და თავდადებული შრომის უნარი. 1991 წელს ის პარტიული კიბის საფეხურზე ძალიან მაღლა ავიდა და ქრისტიან–დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. 1994 წელს მერკელი უკვე გარემოს დაცვის მინისტრი გახდა.

მის პრაგმატიზმზე ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ, რომ მერკელი გადაწყვეტილებებს ციფრებზე, ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით იღებდა. არასოდეს ყვებოდა ემოციებს და ხშირად ივიწყებდა იდეოლოგიურ განსხვავებებს, თუკი ეს გერმანიისთვის მომგებიანი იყო.

ანგელა მერკელი მსოფლიო პოლიტიკაში პრაგმატიზმის სიმბოლო გახდა. მან სწრაფად დახურა გერმანიის ატომიური ელექტროსადგურები, გააუმჯობესა გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობა და გაზარდა ქვეყნის როლი ევროკავშირში. აშშ-სთან პარტნიორობის პარალელურად, მერკელმა რუსეთთანაც მოახერხა კორექტული ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება. 2015 წელს მერკელმა მთელი გერმანია გააოცა, როცა დევნილთა გაზრდილი ნაკადის გარშემო ატეხილ პანიკას მშვიდად უპასუხა: „ჩვენ თავს გავართმევთ“. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციასთან დაკავშირებით მისი პოლიტიკური პოზიცია გერმანელთა ნაწილმა არ მოიწონა, ანგელა მერკელმა მაინც შეძლო და ბუნდესტაგის არჩევნებში 2019 წელს ისევ გაიმარჯვა. პოლიტიკოსმა ქალბატონმა 246 ხმა მიიღო ქრისტიან-დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალისტების ბლოკისგან მაშინ, როცა მთავარმა ოპოზიციურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ 153 მანდატი მოიპოვა. შემდეგ ანგელა მერკელმა რამდენიმეთვიანი პოლიტიკური კრიზისიც წარმატებით გადალახა და ოპოზიციურ პარტიასთან კოალიციის ჩამოყალიბება შეძლო.

2020 წელს „კოლის გოგონას“ მმართველობის 15-წლისთავი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღს უკვე „ერის დედის“ იმიჯით შეხვდა მერკელი. „ის „კოლის გოგონა“ აღარ არის“ – სწორედ ასეთი სათაურით გამოეხმაურა გერმანული „დოიჩე ველე“ საკუთარი ქალი-კანცლერის მმართველობის 15 წლის იუბილეს. გერმანიის პოლიტიკურ ისტორიაში ანგელა ქვეყნის პირველი ქალი მმართველია. ამასთან, ის ჯერჯერობით რიგით მეორე პოლიტიკოსია, რომელიც ყველაზე დიდხანს იკავებს გერმანიის კანცლერის თანამდებობას. ამავე დროს,

მერკელი ისტორიაში პირველი მეცნიერია აღმოსავლეთ გერმანიიდან, რომელმაც კანცლერის სავარძელი დაიკავა. ის ყველაზე ახალგაზრდა პოლიტიკოსი იყო ამ თანამდებობაზე.

სწორედ კოლის კანცლერობის პერიოდს უკავშირდება ანგელა მერკელის პოლიტიკური საქმიანობის დასაწყისი და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ჰელმუტ კოლმა და მაშინდელმა არაერთმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა ანგელა მერკელს 1990-იანი წლების ბოლოს „ჩემი გოგონა“ (mein Mädchen) უწოდა. სწორედ ეს ფამილიარულ-ახლობლური მეტსახელი გახდა „დოიჩე ველეს“ შთაგონების წყარო. „ჩემი ცხოვრების გზაზე გადამწყვეტი როლი 1990 წელს გერმანიის გაერთიანებამ ითამაშა“, თქვა წლების წინ ჟურნალისტებთან საუბრის დროს ანგელა მერკელმა. ცხადია, მას მრავალი დადებითი მოგონება აკავშირებს იმ პერიოდთან, მის სამშობლოსა და მთელ აღმოსავლურ ბლოკს რომ საბჭოთა სისტემისგან თავდახსნის საშუალება მისცა.

წლების განმავლობაში მერკელი გავლენიან ქალ-პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა. ანალიტიკოსების ნაწილი ამბობს, რომ ანგელა ფრთხილ პოლიტიკას თამაშობს, პირად სიმპატია–ანტიპატიას ნაკლებად გამოხატავს და ყოველ მნიშვნელოვან საკითხს სახელმწიფო ინტერესის კუთხით განიხილავს. ანალიტიკოსების დაკვირვებით, მერკელი არ არის კარგი ორატორი და მისი მმართველობა მშვიდ პრაგმატიზმზეა დაფუძნებული. სწორედ ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მერკელი წლების განმავლობაში საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს. 2015 წელს ანგელა მერკელი ამერიკულმა ჟურნალმა „ტაიმმა“ წლის პიროვნებად და სამყაროს კანცლერად დაასახელა.

2018 წლის 7 დეკემბერს გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე მერკელი სხვა პოლიტიკოსმა ქალბატონმა — ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერმა შეცვალა, რომელიც 2019 წლის ივლისიდან გერმანიის თავდაცვის მინისტრის თანამდებობასაც ითავსებდა. გავლენიანი პოლიტიკოსი ქალი გერმანიის კანცლერის თანამდებობასაც ძალიან მალე, 2021 წლის 20 სექტემბერს დატოვებს, თავისი მმართველობის მეთექვსმეტე წლის თავზე. ის, რომ არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებდა და მარათონს გამოეთიშებოდა, მერკელმა ორი წლის წინ საჯაროდ განაცხადა და მიზეზად, ასპარეზის ახალი პოლიტიკოსებისთვის დათმობა დაასახელა. თუმცა, „მინი მერკელად“ მონათლულმა ანეგრეტმა კანცლერობაზე უარი თქვა და ამიტომ, ჯერჯერობით, უცნობია მერკელის პოლიტიკური მემკვიდრე კანცლერის რანგში.

მერკელი გერმანიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს, მიუხედავად არაერთი პოპულარული გადაწყვეტილებისა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ანგელას გერმანიაში „ერის დედად“ მოიხსენიებენ. პირველად ასეთი უაღრესად საპატიო წოდება ანგელა მერკელის მისამართით ბერლინში გამართულ ერთ-ერთ აქციაზე გამოჩნდა ბანერის სახით. ასე იქცა გერმანიის ყველაზე ახალგაზრდა კანცლერი, ყოფილი „კოლის გოგონა“ გერმანიის „ერის დედად“ მმართველობის 15 წლის თავზე.

2014 წელს მერკელმა მსოფლიო კიდევ ერთხელ გააკვირვა, როცა ჩინეთთან მნიშვნელოვანი სავაჭრო შეთანხმება გააფორმა. იმავე წელს მან გერმანიაში ჩინეთის პრემიერ-მინისტრ ლი კეკიანს უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში, ანგელა მერკელმა ჩინელი კოლეგა მერლინის ერთ–ერთ

სუპერმარკეტში წაიყვანა. მსოფლიო მედიამ განსაკუთრებული ინტერესით გააშუქა ეს ფაქტი. თუმცა, გერმანელებისთვის ანგელა მერკელის სუპერმარკეტში ხილვა სიახლე ნამდვილად არ ყოფილა. აღმოსავლეთ გერმანიაში კომუნისტური რეჟიმის პირობებში ცხოვრებამ ანგელა მერკელს ერთი ჩვევა ჩამოუყალიბა. „მე დღემდე ვყიდულობ რაღაცას, როგორც კი დავინახავ. მნიშნელობა არა აქვს, მჭირდება ეს ნივთი თუ არა. ეს არის დიდი ხნის წინ გამჯდარი ჩვევა, რომელიც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დეფიციტის პირობებში, ყიდულობდი ყველაფერს, რისი ყიდვაც შეგეძლო და როცა შეგეძლო“, – აღიარა გერმანიის კანცლერმა გერმანულ მედიასთან ერთ-ერთ ინტერვიუში.

გავლენიანი პოლიტიკოსი ქალის სტატუსის მიუხედავად, მერკელი გენდერულ საკითხებზე, თითქმის, არ საუბრობს. თუმცა, ქალთა ულებების დაცვისთვის რამდენიმე ნაბიჯი მაინც აქვს გადადგმული თავისი 15-წლიანი პოლიტიკური საქმიანობის პერიოდში, რაც ფინეთის მთავრობის მიერ დაწესებული გენდერული თანასწორობის პრიზის მინიჭებით აღინიშნა 2017 წელს.

წარმატებული პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ანგელას რთული პერიოდებიც არაერთხელ ჰქონია. ის პირველი ევროპელი ლიდერი იყო, რომელმაც აღმოსავლეთიდან დევნილი ადამიანების გერმანიაში მიღებაზე თანხმობა განაცხადა. მერკელმა საკუთარი გამოსვლა დაიწყო სიტყვებით: „უბრალოდ ვიტყვი, რომ გერმანია ძალიან ძლიერი ქვეყანაა. ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწიეთ. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება“. შედეგად, გერმანიამ 1.1 მლნ მიგრანტი მიიღო. მისმა უჩვეულოდ თამამმა გადაწყვეტილებამ მაშინდელ ევროპაში საკმაოდ რთული პოლიტიკური პროცესები გამოიწვია, ხოლო გერმანიაში

კანცლერის რეიტინგი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა. ამას მალევე მოჰყვა საბერძნეთის ფინანსური კრიზისი და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობით აღშფოთებული ბერძნული მედია ანგელა მერკელს „ახალ ჰიტლერად მოიხსენიებდა“.

კანცლერი მერკელი რუსეთთან დაკავშირებით ეშმაკი მელიასავით იქცევა. ერთი მხრივ, კრიტიკულ პოლიტიკას ატარებს, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად და არა — საქმით. მეორე მხრივ კი, ის მუდმივად მართავს სხვადასხვა დონის ოფიციალურ შეხვედრებს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან. მერკელი იყო ერთ-ერთი პირველი ევროპელი ლიდერი, რომელიც უკრაინაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, რუსეთისთვის სანქციების დაწესების ინიციატივით გამოვიდა. მიუხედავად ამ შემთხვევაში მკაცრი პოლიტიკური პოზიციისა, მერკელი მაინც გახდა საერთაშორისო კრიტიკის სამიზნე იმის გამო, რომ მხარი დაუჭირა ევროპაში რუსეთის ახალი გაზსადენის მშენებლობას „ჩრდილოეთის ნაკად 2-ს“. ეს საკითხი განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როდესაც რუსი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის „ნოვიჩოკით“ მოწამვლის ამბავი გასაჯაროვდა მედიასაშუალებებით.

მერკელს, როგორც კონკურენტი პარტიიდან, ასევე, საკუთარი პოლიტიკური ძალიდან, მოუწოდებდნენ, შეეწყვიტა რუსული გაზსადენის საკითხის მხარდაჭერა. სიტუაციას განსაკუთრებით ძაბავდა ის ფაქტი, რომ ალექსეი ნავალნი რუსეთიდან სპეციალური რეისით გადააფრინეს გერმანიაში სამკურნალოდ, სადაც გერმანელმა ექსპერტებმა რამდენიმე კვირაში დაადგინეს, რომ პუტინის მთავარი მეტოქე „ნოვიჩოკით“ იყო მოწამლული. ასეთ რეალობაში, ბუნებრივია, რუსეთისთვის

სანქციების დაწესებაზე საუბარი სწორედ გერმანიამ დაიწყო და შედეგად, ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა.

ჩრდილოეთის ნაკადი 21,220 კილომეტრიანი გაზსადენია, რომლის დიდი ნაწილის მშენებლობა უკვე დასრულებულია. გერმანიის მიერ ცალსახად მხარდაჭერილი პროექტის წინააღმდეგ გამოდიან ამერიკის შეერთებული შტატები, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები. გაზსადენის პროგრესი მნიშვნელოვნად შეყოვნდა მაშინ, როდესაც აშშ-მა ახალი სანქციები დააწესა და ამის გამო პროექტი შვეიცარიულმა კომპანიამ დატოვა.

მერკელზე ხშირად ამბობენ, რომ ის პოლიტიკას მეცნიერების თვალით უყურებს. გამოცემა „დი ცაიტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ მას „გამომთვლელი მანქანა“ უწოდა. როგორც პროფესიონალი ფიზიკოსი, ის მსოფლიოს ნაწილაკებად და ტალღებად აღიქვამს. პრობლემებს მეთოდოლოგიურად უდგება – აკეთებს შედარებებს, განიხილავს შესაძლო სცენარებს, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის რეაქციებს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებებს. ცხადია, ამ ყოველივეს საკმაოდ დიდ დროს ანდომებს და შესაბამისად, ანგელას ხშირად საყვედურობენ გადაწყვეტილებების არაოპერატიულად მიღების გამო.

„ადამიანები ხშირად მადანაშაულებენ არასათანადოდ სწრაფად მოქმედებაში, გადაწყვეტილების მისაღებად ზედმეტად ბევრი დროის დახარჯვაში. ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველა ვარიანტის განხილვა, შესაძლო სცენარის რეპეტიციის გავლა“, – განაცხადა მერკელმა ბი-ბი-სისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში.

თავად გერმანიის კანცლერი ამბობს, რომ 15-წლიანი მმართველობის პერიოდში ყველაზე რთული გადაწყვეტილება მისთვის კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შეზღუდვების შემოღება იყო. მსოფლიო მედიისა და ჯანდაცვის სპეციალისტების შეფასებით, გერმანიას კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიასთან ბრძოლაში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე პოზიცია უკავია.

„თავისულების ძვირფასი საჩუქარი თავისით არ მოდის. მისთვის უნდა იბრძოლო. უნდა გაურთხილდე და დაიცვა. ზოგჯერ ეს, შეიძლება, ქარის წისქვილების წინააღმდეგ უსასრულო ბრძოლას ჰგავდეს. თუმცა, ჩემი პირადი გამოცდილება განსხვავებულია – ის, რაზეც დღეს ოცნებასაც ვერ ვბედავთ, ხვალ, შესაძლოა, რეალობად იქცეს. დიქტატურის ვერანაირი ჯაჭვი ვერ შეაჩერებს თავისულების ძალას“, ფილოსოფიური ანალიზი გაუკეთა ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნდამენტურ უფლებას ანგელა მერკელმა 2011 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Angela Merkel Biography [mtholyoke.edu].
2. Abramsohn, Jennifer (10 October 2018), Chancellor Angela Merkel and her quiet rise to power, Deutsche Welle.
3. Hasselbach, Christoph (25 August 2020), Five years on: How Germany's refugee policy has fared, Deutsche Welle.
4. Hasselbach, Christoph (22 November 2020), Angela Merkel: 16 years as German chancellor, Deutsche Welle.
5. Marr, Andrew (24 September 2013), The making of Angela Merkel, a German enigma, BBC News.
6. გუჯაბიძე საბა (23/11/2020), „კოლის გოგო“ — „ერის დედა“ — მერკელის მმართველობის 15 წელი, „ამერიკის ხმა“.

7. Vick, Karl (2015), Chancellor of the Free World, Time magazine [time.com/time-person-of-the-year-2015-angela-merkel].
8. Merkel taps possible successor Annegret Kramp-Karrenbauer as next CDU secretary general (19 Feb 2018), Deutsche Welle.
9. Stelzenmüller, Constanze (30 September 2020), Angela Merkel' final year, Bookings [bookings.edu].
10. ვინ არის ქალი, რომელმაც შეიძლება ანგელა მერკელი შეცვალოს (9 დეკემბერი, 2018), „იმედი ნიუსი".
11. ჩინეთი ეკონომიკის „გონივრულ დიაპაზონში" დაბრუნებას 2021 წელს გეგმავს (24 ნოემბერი, 2020), „ამერიკის ხმა".
12. Wagener, Volker (20 September 2013), The past that shaped Angela Merkel, Deutsche Welle.
13. Helwerth, Ulrike (22 September 2009), Merkel's failure on gender equality, The Guardian.
14. Muller, Natalie (14 December 2017), Angela Merkel wins Finland gender equality prize, Deutsche Welle.
15. Dearden, Lizzie (23 March 2015), Angela Merkel 'pictured' with Nazi commanders in Greece as war reparation dispute continues, The Independent.
16. ვესლოვსკი ტონი (11 თებერვალი 2021), „ჩრდილოეთის ნაკადი 2" — გადაწყვეტილია თუ არა ევროპის „ცუდი გარიგების" ბედი? რადიო „თავისუფლება".
17. კრუტოი მარკ (4 სექტემბერი, 2020), „ტერორის იარაღი": „ნოვიჩოკის" შემქნელი ალექსეი ნავალნის მოწამვლის შესახებ, რადიო „თავისუფლება" [radiotavisufpeba.ge].
18. Stanley-Becker, Isaac (22/07/2017), Germans are learning to love Germany again, and Merkel takes note, The Washington Post.
19. Hill, Jenny (12 Sep 2017), Angela Merkel's quiet power, BBC.
20. Farr, Christina (21 July 2020), Germany's coronavirus response is a master class in science communication, CNBC.
21. Speech by Federal Chancellor Dr Angela Merkel opening the 14th Annual Meeting of the Internet Governance Forum in Berlin on 26 November 2019 (26 November 2019), The Federal Government.

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-095-7